სარგიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 დეკემბერი 2005 №281 (2604) ფასი 50 თეთრი

ბიბლიოთეკა

ქართველების შეურაცხყოფა გაყრით დამთავრდა

AFP მილანიდან

მილანი — შალკე 3:2. კაკა ორი ბურთით გავიდა მოედნიდან, ლევან კობიაშვილის „შალკე“ კი მერვედფინალში ვერ გავიდა

მერვეددფინალისტები

ბაიერნი
იუვენტუსი
არსენალი
აიაქსი

ბარსელონა
მილანი
პსვ ეინდჰოვენი
ლიონი

რეალი
ლივერპული
ჩელსი
ინტერი
რეინჯერსი

ყველაფერს ფულით ვერ იყიდი: ბუნდესლიგაში 2004

3

არიგო საკიც წავიდა

იტალიელის საქმეს ფერნანდო იერო ჩაიბარებს

7

გარდაიცვალა კოგა კურტანიძე

8

ზესტაფონმა ჩიკვილაძე მეორედაც ვერ გაიგო

გურამ ფოლადაშვილი ფოტო

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. VI წრე

E ჯგუფი

მილანი 3:2 შალკე

1:0 პირლო (42), 1:1 პოულსენი (44), 2:1, 3:1 კაკა (52, 60), 3:2 ლინკოლნი (66)
მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, მალდინი (შიმიჩი 31, კალაძე 78), სერჟინიო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი (ჯილარდინო 86)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
შალკე: როსტი, რაფინია, ბორდონი, დ. როდრიგესი (ლარსენი 84), კრსტაიჩი, პოულსენი, ერნსტი (ასამოა 46), ალტინტოპი, ლინკოლნი, კობიაშვილი, კურანი (სანდი 84)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ერნსტი, პირლო, კობიაშვილი, გატუზო, კრსტაიჩი, ასამოა, როდრიგესი
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
43 816 მაყურებელი

პსვ ეინდჰოვენი 2:0 ფენერბაჰჩე

1:0 კოკუ (14), 2:0 ფარფანი (85)
პსვ ეინდჰოვენი: გომესი, ლუსიუსი, ოიერი, ალექსი, ლამეი, სიმონსი, აფელაი (აისატი 25), კოკუ, ფარფანი, ვენგოორ ოფ ჰესელინკი, რობერტი (რაიციგერი 67)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
ფენერბაჰჩე: ვოლქანი, სერქანი, ონდერი, ფაბიო ლუსიანო, უმით ოზატი, აპია, ალექსი, მარკო აურელიო, თუნჯაი, ანელკა (მეჰმეთი 65), ნობრე (სემიჰი 79)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: რობერტი, სერქანი, სემიჰი, კოკუ
მსაჯი: ერიკ ჰულა (საფრანგეთი)
35 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

მილანი	6	3	2	1	12:6	11
პსვ ეინდჰოვენი	6	3	1	2	4:6	10
შალკე	6	2	2	2	12:9	8
ფენერბაჰჩე	6	1	1	4	7:14	4

F ჯგუფი

ლიონი 2:1 რუსენბორგი

1:0 ბენზემა (33), 1:1 ბრაატენი (68), 2:1 ფრედი (90)
ლიონი: ვერკუტრე, რეველიერი (კლერკი 83), კრისი, ლ. დიატა, მონსორო, პედრეტი, ბენზემა (ბინიე 90), ჟ. კლემანი, ვილტორდი, კარეუ (ფრედი 55), ბენ აფრა
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
რუსენბორგი: ე. იონსენი, ბასმა, ლაგო, კვარმე, დორსინი, ვინსნესი, რისტი (ტეტეი 81), ფ. იონსენი, ბრაატენი, ჰელსტადი (ოდეგაარდი 56), სტორფლორი (ეგურენი 83)
მწვრთნელი: პერ-მათიას ჰიოგმე
გაფრთხილება: ლაგო, რისტი, პედრეტი, ეგურენი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
40 425 მაყურებელი

ოლიმპიაკოსი 2:1 რეალი

0:1 სერხიო რამოსი (7), 1:1 ბულუტი (50), 2:1 რივალდო (87)
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი, კაპისისი (კოსტულასი 65), შურერი, ბულუტი, ი. ტურე, სტოლტიდისი, რივალდო, კაფესი (ბაბანგიდა 81), დანი (ოკასი 58), ჰ. ჯორჯევიჩი
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
რეალი: დ. ლოპესი, დიოგო, პავონი, სერხიო რამოსი, რაულ ბრავო, ბალბოა (ა. მარტინი 58), დე ლა რედი (ხავი გარსია 81), გრავესენი, ჟულიო ბაპტისტა, რობინიო (ხურადო 80), სოლდადო
მწვრთნელი: ხუან რამოს ლოპეს კარო
გაფრთხილება: ბულუტი, დე ლა რედი, ჟულიო ბაპტისტა, დიოგო
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
33 500 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ლიონი	6	5	1	0	13:4	16
რეალი	6	3	1	2	10:8	10
რუსენბორგი	6	1	1	4	6:11	4
ოლიმპიაკოსი	6	1	1	4	7:13	4

G ჯგუფი

ჩელსი 0:0 ლივერპული

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა (დელ ორნო 46), რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, რობენი (კ. კოული 73), ესიენი, ლამპარდი, დაფი (რაიტ-ფილიპსი 74), დროგბა, გუდიონსენი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია (სინამა-პონიოლი 81), ჯერარდი, ჰამანი, სისოკო, რიისე (კიუელი 61), კროუჩი (მორიენტესი 68)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ტრაორე, ლამპარდი, კარვალიუ
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
41 600 მაყურებელი

ბეტისი 0:1 ანდერლეხტი

0:1 კომპანი (44)
ბეტისი: დობლასი, ო. ლოპესი, ლემბო, რივასი, კასტელინი, ისრაელი (ხოაკინი 46), რიერა, კაპი, პრადოსი (მ. ასუნსაო 71), ხუანლუ (ხისკო 46), ფერნანდო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ანდერლეხტი: ჟიტკა, იუჰაში, კომპანი, ტიოტე (ზეტერბერგი 84), დეშასტი, ლოვრე (ტიმინენი 69), დელორგი, ბასეჯიო (ჟევლაკოვი 69), გოორი, გ. პუიოლი, იაშჩუკი
მწვრთნელი: ფრანკ ვერკუტერენი
გაფრთხილება: იუჰაში, დელორგი, ფერნანდო, ლოვრე
მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)
22 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ლივერპული	6	3	3	0	6:1	12
ჩელსი	6	3	2	1	7:1	11
ბეტისი	6	2	1	3	3:7	7
ანდერლეხტი	6	1	0	5	1:8	3

H ჯგუფი

რეინჯერსი 1:1 ინტერი

0:1 ადრიანო (30), 1:1 ლოვენკრანდსი (38)
რეინჯერსი: ვატერეუსი, რიკსენი, ენდრიუსი, კირიაკოსი, მიურეი, ნამუში, ფერგიუსონი, მალკოლმი, ბარკი, ბუფელი, ლოვენკრანდსი
მწვრთნელი: ალექს მაკლეიში
ინტერი: ტოლდო, ანდრეოლი (ხ. ძანეტი 70), მიხაილოვიჩი, მატერაცი (მომენტე 42), ბურდისო, სოლარი, კ. ძანეტი, დ. პიზარო, ვომე, ადრიანო (მაა-ბუმსონგი 81), მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კ. ძანეტი, კირიაკოსი, პიზარო, ენდრიუსი, მომენტე, კ. ძანეტი
გაძევება: კ. ძანეტი (87)
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
49 170 მაყურებელი

არტმედია 0:0 პორტუ

არტმედია: ჩობეი, პ. პეტრაში, დებნარი, დიურიცა, ურბანეკი, ობზერა (ბალენარი 88), კოზაკი, სტანო, ბორბელი, ფოდრეკი, ჰარტიგი (ვაშჩაკი 61)
მწვრთნელი: ვლადიმირ ვეისი
პორტუ: ვიტორ ბაია, რიკარდუ კოშტა, პეპე, პ. ემანუელი (ბოსინგვა 59), პეიშოტო, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, დიეგო (უგო ალმეიდა 46), კვარესმა (ფორფინიო 72), მაკარტი, ლ. ლოპესი
მწვრთნელი: კო ადრიანსე
გაფრთხილება: პეიშოტო, ურბანეკი, დიეგო, პ. ემანუელი, დებნარი, ბოსინგვა
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
6 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

ინტერი	6	4	1	1	9:4	13
რეინჯერსი	6	1	4	1	7:7	7
არტმედია	6	1	3	2	5:9	6
პორტუ	6	1	2	3	8:9	5

AFP ფოტოგრაფიდან

რეინჯერსი — ინტერი. მილანელები ადრიანომ საუცხოო თავურით დააწინაურა

შალკე და კობი ლიგის მარაქაში ვერ გაერევნენ

ვისთვის როგორ, ჩვენთვის კი, ქართველი გულშემატკივრისთვის, გუშინდელი მთავარი მატჩი „სან სიროზე“ გაიმართა.

მაინცდამაინც დიდი არა, მაგრამ მაინც იყო შანსი, ლიგის მერვედფინალში ქართველთა ორივე გუნდი გასულიყო, რისთვისაც პსვ-ს შინ ჯგუფის უიმედო აუტსაიდერ „ფენერბაჰჩესთვის“ ვერ უნდა მოეგო. ამის იმედი, ცხადია, არც „მილანს“ ექნებოდა და არც „შალკეს“. ერთი სიტყვით, „სან სიროზე“ ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, ნახვად ნაღდად რომ ღირდა.

გოლები, ვინძლო, თავადაც ნახეთ, თუმცა მაინც გავიხსენოთ:

ანდრეა პირლოს ჯარიმიდან დარტყმული ბურთისკენ როსტი კი გაიწია, მაგრამ ცხრიანში ჩაჭედვას ვერ გადაარჩინა — 1:0.

თითქმის მაშინვე საპასუხო საჯარიმოთი დარტყმული ბურთი მილანელთა თავებს გადასცდა და კრისტიან პოულსენს მიუვიდა — 1:1.

ანდრეი შევჩენკოს ბრწყინვალე გარღვევა, მარჯვნიდან გახსნილი კაკა და შორ კუთხეში დარტყმა — 2:1.

გელზენკირხენელ მცველთა სრული დაბნეულობა, შევჩენკოს ბურთისთვის აცილებული ფეხი, მილანელთა მშველელად კი ისევ კაკა გამოჩნდა — 3:1.

თითქოს ამით ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ლინკოლნის დარტყმის მერე სერჟინიოს ფეხიდან ასხლეტილმა ბურთმა თამაშს ინტრიგა ბოლო წამამდე შემოუნახა — 3:2.

„მილანი“ გავიდა, „შალკე“ გავარდა, ლევან კობიაშვილი კი მომდევნო ევროპულ მატჩს გამოტოვებს. კობიაშვილის და გატუზოს ორთაბრძოლა, მთელი თამაში რომ გრძელდებოდა, ბოლოს ხელის კვრით და ორივეს გაყვითლებით დასრულდა. ამ სეზონში კი კობიაშვილს უეფას თასი ელის.

„რეალი“ „ოლიმპიაკოსთან“ იგებდა და დამარცხდა. ჯგუფიდან უკვე გასული და შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე გუნდისგან წაგება რა გასაკვირია, თუმცა, ერთი მაინც უნდა ვთქვათ: „რეალს“ გადამწყვეტი გოლი რივალდომ გაუტანა, რომელსაც, გეხსომებათ, თავის დროზე „რეალი“ ესპანურ სუპერკლასიკოში როგორი გამწარებულიც ჰყავს.

იმავე ჯგუფში „ლიონმა“, რომელსაც ასევე განაღდებული ჰქონდა მერვედფინალში გასვლა, ფრე არ იკადრა და წამატებულ დროში დაამარცხა „რუსენბორგი“.

„ლივერპულმა“ და „ჩელსიმ“ თავიც დაზოგეს, ერთმანეთიც და უგოლოდ გაიყარნენ. ისე კი, ლონდონელები უკეთ გამოიყურებოდნენ.

უღრმესი მადლობა „რეინჯერსისგან“ „პორტუს“, რაკიღა სლოვაკეთში ფრედ ითამაშა. ამ ფრით პორტუგალიელებმა ვერაფერი მიიღეს, შოტლანდიელებს კი მერვედფინალში გაუკაფეს გზა.

ბრატისლავაში თავსხმა წვიმა იყო და თამაში ჭირდა, თუმცა „არტმედიამ“ — ამ სეზონის უდავო აღმოჩენამ — რამდენიმე ნაღდი მომენტი გააფუჭა, თორემ სენსაცია მერე გენახათ.

„რეინჯერსი“ კი თავიდან აგებდა — სინიშა მიხაილოვიჩის ჯარიმიდან ჩაკიდებულ ბურთს ადრიანომ საგოლედ დაჭკრა თავი. მაგრამ „ინტერის“ დაწინაურებამ დიდხანს არ გასტანა და პეტერ ლოვენკრანდსმა გაათანაბრა. გასაკვირი კი აი, რა არის: თავქუდშიმყოფ ინტერელ კრისტიანო ძანეტის რა რჯიდა, მსაჯს თავი რომ გააგდებინა.

კოტე კეკელია

შოტლანდია

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

მორტონი 2:1 ეარი

III დივიზიონი

გადადებული მატჩი

კუოდენბითი 3:2 არბროთი

პოლონეთი

I ლიგა

გადადებული მატჩი

პოლონია 0:3 ოდრა

თასის 1/4 ფინალი

საპასუხო მატჩი

კუიავიაკი 1:1დ.დ.(1:0) *პლოცკი* (0:1)

ინგლისი

I ლიგა. XX ტური

ბარნსლი 2:1 ტრანმერი
ბლეკპული 1:3 ბორნმუთი
ბრენტფორდი 3:2 იოვილი
ბრისტოლი 0:1 ბრედფორდი
ჯილინგემი 1:0 დონკასტერი
ჰარტლპული 0:1 კოლჩესტერი
დონსი 2:2 ჰადერსფილდი
ნოტინგემი 1:0 პორტ ვეილი
ოლდემი 2:1 უოლსოლი
საუთენდი 0:0 ჩესტერფილდი
სუონსი 2:0 სკანთორპი

II ლიგა. XX ტური

ჩელტენემი 1:2 ოძსფორდი
გრიმსბი 4:1 როჩდეილი
ლეიტონი 0:1 ჩესტერი
პიტერბრო 2:0 ნოტსი
რაუდენი 0:4 კარლაილი
შრიუსბერი 3:1 დარლინგტონი
სტოკპორტი 0:1 როვერსი
ტორკი 3:3 ნორთჰემპტონი
რეძსემი 4:1 მენსფილდი
უიკომბი 1:1 ბოსტონი

კონფერენსლიგა

გადადებული მატჩები

გრეისი 1:1 ალტრინჩემი

ასოციაციის თასი. II ეტაპი

ბარტონი 4:1 ბარსკოფი

გერმანია

ბუნდესლიგა

გადადებული მატჩი

დუისბურგი 1:1 კიოლნი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩები

ოსნაბრიუკი 2:0 ლიუბეკი
მიუნსტერი 1:3 ლევერკუზენი (მ)
ვატენშაიდი 3:3 ემდენი

სამხრეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი

მიუხენი (მ) — აუგსბურგი *გადადო*

ბელგია

თასის მეთექვსმეტედფინალი

ლა კალამინი 0:2 *ბეერსხოტი*

უნგრეთი

თასის 1/8 ფინალი

საპასუხო მატჩი

მტკ 1:2 *ვიდეოტონი* (1:1)

ჰოლანდია

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

აპელდორნი 2:0 ტელსტარი
გრაააფსხაპი 4:3 ზვოლე
ეძსელსიორი 3:0 სიტარდი
დორდრეხტი 1:1 ალმერე
იგლსი 1:4 ემენი
ვეენდამი 1:3 ჰელმონდი

ყველაფერს ფულით ვერ იყიდი: ბუნდესლიგაფასები 2004

წინა კვირაში ბუნდესლიგის მწვრთნელთა ხელფასები გაგაცანით. მწვრთნელის ხელფასის თემა დღეს საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია და ის ინფორმაცია საინტერესო, ვფიქრობთ, ამიტომაც იყო.

თუმცა მაშინ ბუნდესლიგელ მწვრთნელთა 2003 წლის ხელფასები წარმოგიდგინეთ, ცხოვრება კი გრძელდება და ხელფასებიც იცვლება. ამიტომ დღეს გაგაცნობთ ბუნდესლიგელ მწვრთნელთა 2004 წლის ხელფასებს და თავად შეადარეთ, რა ცვლილებები განიცადა სახელფასო უწყისმა იმ ერთ წელიწადში.

ერთს კი მოგახსენებთ: მცდარი აზრია, თითქოს ხელფასები მხოლოდ იზრდება, შემცირების ტენდენცია კი არ არსებობს. ჩვენთვის საინტერესო მწვრთნელის მაგალითს მოვიშველიებთ: კლაუს ტოპმიოლერს „ლევერკუზენში" 2003 წელს ჯამური ხელფას-პრემია 2,52 მილიონი ევრო ჰქონდა, შარშან კი „ჰამბურგში" გადასვლას 1,02 მილიონადაც დათანხმდა. ასე, რომ...

1	ოტმარ ჰიცფელდი	ბაიერნი	4,05 მილიონი
2	მათიას ზამერი	დორტმუნდი	2,65 მილიონი
3	იუპ ჰაინკესი	შალკე	2,53 მილიონი
4	ფელიქს მაგათი	შტუტგარტი	2 მილიონი
5	პეტერ ნოირურერი	ბოხუმი	1,80 მილიონი
6	იურგენ რიობერი	ვოლფსბურგი	1,60 მილიონი
7	ერიკ გერეტსი	კაიზერსლაუტერნი	1,34 მილიონი
8	თომას შაფი	ვერდერი	1,24 მილიონი
9	კლაუს აუგენტალერი	ლევერკუზენი	1,04 მილიონი
10	კლაუს ტოპმიოლერი	ჰამბურგი	1,02 მილიონი
11	რალფ რანგნიკი	ჰანოვერი	725 500
12	ვილი რაიმანი	აინტრახტი	689 000
13	მარსელ კოლერი	კიოლნი	650 000
14	ფალკო გიოტცი	მიუნხენ 1860	646 000
15	ჰანს მაიერი	ჰერტა	500 000
16	ჰოლგერ ფახი	მიონხენგლადბახი	480 000
17	იური შლუნცი	ჰანზა	409 000
18	ფოლკერ ფინკე	ფრაიბურგი	360 000

კლაუს ტოპმიოლერის ჰამბურგული ხელფასი ლევერკუზენულზე გაცილებით ნაკლები იყო

ჩვენთვის კარგად ნაცნობი ფოლკერ ფინკე 2004 წელს ბუნდესლიგის ყველაზე დაბალხელფასიანი მწვრთნელი გახლდათ

„ზესტაფონს" თენგიზ ჩიკვილაძე (მარჯვნივ) ისევ თავისად მიაჩნია

ალბერტ ეფიანოვის ფოტო

ზესტაფონმა ჩიკვილაძე მეორედაც ვერ გაიგო

თბილისის „ამერმა" რომ გუშინწინ ბოლნისის „სიონიდან" სამი ფეხბურთელი გადაიყვანა, ამაზე უკვე ვწერდით. ახალწვეულთა შორისაა მცველი თენგიზ ჩიკვილაძე, რომლის გარშემო „სიონსა" და „ზესტაფონს" შორის სერიოზული დავა იყო. შეგახსენებთ: „ზესტაფონმა" გასულ ზაფხულს გათავისუფლების ფურცელი მისცა ჩიკვილაძეს და ფეხბურთელმაც „სიონთან" გააფორმა ექვსთვიანი კონტრაქტი.

თითქოს ფეროელებს თენგიზთან არაფერი იღა უნდა აკავშირებდეთ, მაგრამ... გათავისუფლების ფურცელზე „ზესტაფონის" გენერალურმა დირექტორმა დავით აბაშიძემ მოაწერა ხელი, არადა, მოგვიანებით მან აღიარა, ამის უფლება არ მქონდა, ეს კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას პრეროგატივაა.

თავის დროზე „ზესტაფონს" ჩიკვილაძე 23 000 დოლარი დაუჯდა და კლუბისგან, რომელიც თენგიზს გადაიყვანდა, ამ თანხას ითხოვდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ფეროელთა განცხადებით, ფეხბურთელის ტრანსფერის საკითხი ჯერ მათთან უნდა გადაწყვიტათ.

აი, რა გვითხრა გუშინ დავით აბაშიძემ: „კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია ხვალ ჩამოვა და მის მაგივრად მე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, რადგან ერთხელ მოვაწერე საბუთს ხელი და კინაღამ სამსახურის დაკარგვად დამიჯდა. მაშინ შევცდი, მე შემიძლია, მაგალითად, სათამაშო ფორმების ჩაბარებაზე მოვაწერო ხელი, მაგრამ გათავისუფლების ფურცელი ჩემი საქმე არაა. ეს იურისტებმაც თქვეს. ფაქტია, „ზესტაფონს" ჩიკვილაძეში ფული აქვს გადახდილი და გინდ „სიონი", გინდ „ამერი" როგორ წყვეტენ ჩვენ გარეშე ასეთ საქმეს, ვერ გამიგია".

ამის შემდეგ, ბუნებრივია, „ამერის" პოზიციითაც დავინტერესდით და კლუბის გენერალურ მენეჯერ ვახტანგ ბზიკაძეს შევეხმიანეთ.

„ჩვენმა კლუბმა თენგიზ ჩიკვილაძის თაობაზე მოლაპარაკება ფეხბურთელის აგენტის, აკა ტონიას მეშვეობით აწარმოა, რომელიც ამავე დროს ფიფას ოფიციალური აგენტია.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, „ამერმა" ორშაბათს კონტრაქტი გაუფორმა თავისუფალ აგენტს, რომელსაც 6-თვიანი ხელშეკრულება ბოლნისის „სიონთან" 1 დეკემბერს დაუმთავრდა.

მზად ვართ, გავეცნოთ „ზესტაფონის" პრეტენზიას, მითუმეტეს, რომ ამ კლუბთან გვაკავშირებს კეთილგანწყობილი ურთიერთობა, რომელსაც ვუფრთხილდებით.

ვფიქრობ, შევძლებთ სიტუაციაში გარკვევას და ყველაფრის ისე გადაწყვეტას, რომ სამართლიანობა არ დაირღვეს."

ილია ნანოგაშვილი

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციებმა სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ხელმძღვანელი
პროფ. თამაზ თამაზაშვილი

- უსტალი ადგილმდებარეობა ამბულატორიებში
- ადგილზე კონსულტაცია, მათ შორის პროფესორების კონსულტაცია ამბულატორიებიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- გაფანტიერებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმის და დამწვრობის შედეგ
- კონფიდენციალურობა
- საუკეთესო თანდასწრება

HAIRLINE INTERNATIONAL

ჰეალაინ ინტერნეიშნლ

თმის აღდგენითი მედიცინის სამეცნიერო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამეცნიერო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

იაშვილის კოჭმა ფინკე აალაპარაკა

გერმანული „ფრაიბურგის“ ქართველი კაპიტანი ალექსანდრე იაშვილი დაშავდა. „იაშკამ“ მეორე ბუნდესლიგის მე-14 ტურში, „ჰანზასთან“ (2:2) მატჩში კოჭი იტკინა და ახლა ექიმები დასტრიალებენ თავს.

გერმანული წყაროების ცნობით, ჩვენებურის ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს, თუმცა იმის შანსი კი დიდია, რომ მან მომდევნო ტური გამოტოვოს.

— იაშვილი ჩვენთვის რასაც ნიშნავს, ყველამ იცის, იმედი მაქვს, იგი მალე დაგვიბრუნდება — განაცხადა „ფრაიბურგის“ თავკაცმა ფოლკერ ფინკემ.

კახა შალამბერიძე

ჩერნომორეცის ქართული მუდმივა

კანდელაკმა ოდესელებს სამწლიანი მოუწერა

ოდესის „ჩერნომორეცმა“ ქართველ ლეგიონერ ილია კანდელაკს კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზა და თანხმობაც მიიღო. მხარეებმა უკვე გააფორმეს ახალი, სამწლიანი ხელშეკრულება — იტყობინება ოდესური კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

კანდელაკი „ჩერნომორეცში“ სამიოდ თვის წინ გადავიდა თბილისის „დინამოდან“ და დღემდე უკრაინის ჩემპიონატის ტური არ გამოუტოვებია, მუდმივად ძირითადში თამაშობს.

სხვათა შორის, კანდელაკის უკრაინული წარმატებები არც საქართველოში გამორჩენიათ და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს ბულგარეთთან და იორდანიასთან ნოემბრის ამხანაგური მატჩებისთვის.

ილია კანდელაკს (მარჯვნივ) „ჩერნომორეცში“ ფეხის მოკიდება არ გასჭირვებია

კახა შალამბერიძე

ადამიას გოლები ფლანგმა გაუფლანგა

გადრი ჯეზილაშის ფოტო

აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურში ერთი ქართული გოლი გავიდა — გიორგი ადამიამ იყოჩაღა. მისმა „ნეფთჩიმ“ ალეკო გოგობერიშვილის „ბაკისთან“ სტუმრად 2:2 ითამაშა, ქართველმა ფორვარდმა კი 67-ე წუთზე შეაგდო და 2:1 დააწინაურა „მენავთოფეები“. ფორვარდიო, კი ვთქვით, მაგრამ ადამია „ნეფთჩიში“ მარცხენა ნახევარმცველად აქციეს და გოლებსაც ამიტომ გადაეჩვია. ადამიას თანაგუნდელი ვალერი აბრამიძეც კარგად გარჯილა და შეტევაშიც ხშირად ერთვებოდა — ორივე ქართველმა 90-90 წუთი ითამაშა.

რაც შეეხება გოგობერიშვილს, აზერბაიჯანული პრესის ცნობით, თავის შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშაო.

„ბაკი“ და „ნეფთჩი“ მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ 20-20 ქულით, პირველზე „ინტერია“ 25 ქულით, ლექსო ინწკირველის „კარვანი“ კი მას ოდენ ქულით ჩამორჩება. საერთოდაც, გასული აზერბაიჯანული ტურის შემდეგ ადგილები დიდად არ შეცვლილა, რადგან შვიდიდან ექვსი მატჩი ფრედ დასრულდა.

ლუკა თალაძვაძე

რა უმაღლესი ლიგა...

ცხინვალს თავი ვეღარ გააქვს

„ცხინვალმა“ 12 ქულა როგორ მოაგროვა და ღრმა აუტსაიდერად როგორ არ დარჩა, ეს კლუბის უფროს ზურაბ ნასუაშვილსაც უკვირს. უმაღლეს ლიგაში პატრიოტული მოტივით აღზევებულ „ცხინვალს“ უსახსრობა პირველი წრის ბოლოსკენ განსაკუთრებით დაეტყო, როცა თითქმის უბრძოლველად აგებდა თამაშებს.

„ბუცის ფული ჩვენ არ გვაქვს და ერთხელ ბათუმში გასვლითი მატჩისთვის გამთენიისას, 5 საათზე წავედით. ამ პირობებით უმაღლეს ლიგაში ყოფნა შეუძლებელია, ამიტომაც გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი მიდის. გიზო შენგელია და პაატა ბაკარანძე უკვე დაგვემშვიდობნენ, დავით დათაძემ მითხრა, სხვა გუნდები მიწვევენ, მაგრამ ოდნავ მაინც თუ გაუმჯობესდება ვითარება, თქვენთან დარჩენა მირჩევნიაო. სხვა ფეხბურთელებიც ასე არიან, ჩვენ კი ვერავის მოვატყუებთ და ოქროს კოშკებს ვერ დავპირდებით, წასვლაში ხელს არავის შევუშლით“ — ამბობს ზურაბ ნასუაშვილი.

„ცხინვალის“ უფროსმა ისიც გვითხრა, მხარის გუბერნატორი მიხეილ ქარელი ცდილობს გუნდის ფეხზე დაყენებას, მაგრამ ცალკე, გორის „ღილა“ ჰყავს მისახედი და მეტს ვერ სწვდებაო.

გამოსავალს კი ნასუაშვილი ვერ ვერ ხედავს: „შარშან პირველ ლიგაში დიდად არ გვიჭირდა, იქიდან დარჩენილი თანხა გადმოგვყვა უმაღლესში და კიდევ როგორღაც გავძლონდა თავი. ვნახოთ, შევხვდებით მიხეილ ქარელს და თუ სასიკეთო არაფერი იქნება, მეორე წრეში გამოუცდელი ბავშვებით მოგვიწევს თამაში, ასეთ შემთხვევაში კი უმაღლესიდან გავარდნა რეალური იქნება“.

ასეა, ბევრის აზრით, 16-გუნდიანმა ჩემპიონატმა გაამართლა, მაგრამ „ცხინვალის“ მაგალითი სხვას ამბობს...

ილია ნანოგაშვილი

„ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
თავისი აღსაზრდელის
ირაკლი გურაბანიძის
დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბა ციციშვილის ფოტო

19 წლის ტანმაღალი მცველი აკაკი ხუბუტია ლიტვურ „კაუნასში“ შარშან ჩაირიცხა, ცოტა ხანში იგი, სათამაშო პრაქტიკის მიზნით, ჯერ „ნეუვისში“, შემდეგ კი „შილუტეში“ გაანათხოვრეს. დღეს აკაკი ისევ „კაუნასის“ ფეხბურთელია, კლუბისა, რომელსაც ცნობილი ოლიგარქი ვლადიმირ რომანოვი პატრონობს და რომლის შემწეობითაც შოტლანდიური „ჰართსი“ ლამისაა იქაურ ბობოლებს, „სელტიკსა“ და „რეინჯერსს“ გაუტოლდა...

აკაკი ხუბუტია: ლიტვამ უკვე ძალიან გაგვასწრო

ნაკრებში ჩემი ნახვაც ეზარებათ

— ლიტვაში მისხალიც არაფერი მაკლია, იქ ოღონდ ფეხბურთში ითამაშე და ყველა პირობაა საამისოდ. გული იმაზე მწყდება, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არავის არ ვახსენდები — გვითხრა აკაკიმ.

— ხომ არაა მოსალოდნელი, რომ „კაუნასმა“ ისევ გაგანათხოვროს რომელიმე სუსტ გუნდში?

— „კაუნასის“ მფლობელ ვლადიმირ რომანოვს რამდენიმე დღის წინ პირადად ველაპარაკე და მითხრა, ჩვენ გვჭირდებიო. ეს იმიტომ ვკითხე, რომ „ვილნიუსი“ მიწვევდა და თავი დავიზღვიე, ეგებ კაუნასელებს არ უნდათ ჩემი დატოვება-მეთქი. საბედნიეროდ, „კაუნასში“ ვარ.

— რომანოვი „კაუნასის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს „ჰართსში“ აგზავნის, შენთვის შორია იქამდე?

— ამაზეც მითხრა რომანოვმა, გაისად ზაფხულისთვის ვფიქრობ შენს წაყვანაზე, იქამდე კი „კაუნასში“ დარჩი, უეფას თასზე მოგიწევს თამაშიო. ისე კი, ვერ „ჰართსის“ მეორე გუნდზეა ლაპარაკი.

— შოტლანდიაში გადასასვლელად ნაკრებში თამაშების 75 პროცენტია საჭირო...

— ეგ ჩემი სატკივარია და ძალიან მწყდება გული. არადა, ჩემი თაობის ყველა ფეხბურთელს მიეცა შანსი. ეტყობა, საქართველოდან ადრევე რომ წავედი, ყურადღებას აღარ მაქცევენ, არადა, მალტაზე და კვიპროსზე ხომ არ წავსულვარ?! ლიტვის ჩემპიონატი საქართველოსას უკვე ბევრად სჯობია...

— ლიტვის ჩემპიონატში სერიოზული თანხა იდება? „კაუნასის“ ამბავი გასაგებია, რომანოვი პატრონობს, მაგრამ სხვა კლუბები?

— ათი გუნდიდან ექვსი ფინანსურად მყარადაა, დანარჩენებს ცოტა უჭირთ. მოედნები ხავერდივითაა, ფიზიკური მომზადება, ბრძოლა და, რაც მთავარია, პროფესიონალიზმი არ აკლიათ. ამიტომაცაა, ლიტვური კლუბებიდან რუსეთის პირველ ლიგაში უკვე არავინ გარბის, აღარ უღირთ. მეც, მაგალითად, თბილისის „დინამომ“ ან „ზესტაფონმა“ რომ შემომთავაზონ გადასვლა, არაფრის დიდებით არ დავთანხმდები. სხვათა შორის, ახლახან „ეკრანასის“ ფეხბურთელი ჩეხეთის „სპარტამ“ იყიდა და, თავად განსაჯეთ, საქართველოს ჩემპიონატიდან ეგრევე „სპარტას“ დონის გუნდში მოხვედრა რამდენად შესაძლებელია. საქართველოში ბევრ რამეს დაგპირდებიან და მოგატყუებენ, ლიტვაში კი პირდაპირ მაინც ვეტყვიან. ეს ტყუილები თავის დროზე გამოვცადე „ლოკომოტივში“.

— საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაც კობა ჟორჟიკაშვილს იცნობ, მის გაწვრთნილ 17-წლამდელთა ნაკრებში გითამაშია სამი წლის წინ. უცნაურია, ჟორჟიკაშვილი რატომ არ გეხმიანება...

— ეტყობა, კობა ჟორჟიკაშვილს ის ეწყინა, თავის დროზე „ოლიმპში“ გადასვლაზე უარი რომ ვთქვი — ეს სწორედ იმ 17-წლამდელთა შესარჩევის შემდეგ მოხდა. ზაფხულში ლიტვაში პალანგას ტურნირზე ქართველ 17-წლამდელთა ნაკრებს ჟორჟიკაშვილიც ჩამოჰყვა. პალანგიდან 50 კილომეტრში ჩემპიონატის თამაში გვქონდა, მაგრამ არ მოვიდა სანახავად, არ დაინტერესა. დავიჯერო, აზერბაიჯანთან ამხანაგური მატჩისთვისაც არ შეიძლებოდა ჩემი გამოძახება?!

— ლიტვაში როდესმე თუ უგრძნობინებიათ, რომ ლეგიონერი ხარ?

— კი, ცოტა არ იყოს, შურის თვალით გიყურებენ, რაც არ მიკვირს — შენ ხომ ლიტველს კონკურენციას უწევ, ცდილობ, სამუშაო ადგილი წაართვა. ერთი-ორჯერ ჩამაწვეთეს, ახალგაზრდულ ნაკრებში რატომ არ გიძახებენო. ისე კი, გუნდი ძალიან მეგობრულია, რაც მთავარია, რომანოვიც შვილივით მივლის.

ილია ნანოგაშვილი

თბილისის დინამო 80 წლის

დინამო იყო...

„დინამო“ იყო, „დინამო“ იყო... მაგრამ თქვენ არ იცით, რა იყო ჩემი ასანთის კოლოფი, რომლის ამბავსაც ახლა მოგახსენებთ.

იმ წელიწადს, „დინამომ“ თასების თასი რომ მოიგო, მე სკოლა დავამთავრე, რაც იმას ნიშნავს, რომ სიგარეტის მოწევა ახალი დაწყებული მქონდა. ნუ, ახალი როგორ... ზოგმა მერვეში დაიწყო, ზოგმა მეცხრეში, ზოგმა მეათეში. მე მეცხრეში დავიწყე, მეათეში კი უფრო დავოსტატდი, თუმცა სახლში, ცხადია, არ იცოდნენ და „კოსმოსის“ თუ „მტკვრის“ ღერებს და ხანდახან მთელ კოლოფსაც საფოსტო ყუთში ვმალავდი.

ახლა ეს სიგარეტი რატომ გამახსენდა: იქნებოდა დაახლოებით თებერვლის ბოლო, როდესაც ჯიბიდან ჩვეულებრივი ასანთის კოლოფი ამოვიღე, გავხსენი და ვნახე, რომ შიგ ბოლო ღერი დარჩენილიყო. იმ ბოლო ღერით სიგარეტს კი მოვუკიდე, მაგრამ კოლოფი არ გადამიგდია. რაღაც ჯანდაბამ ჩამათქმევინა, თუ ამ კოლოფს არ გადაგდებ, „დინამო“ თასს აიღებსო, ეს კი ჩემთვის იმხანად სკოლის დამთავრებაზე მნიშვნელოვანიც იყო და ინსტიტუტში მოწყობაზეც. ერთი სიტყვით, სადღაც ასანთის ღერები დავითრიე, ჩემს კოლოფში გადავაწყე და განვაგრძე ცხოვრება.

ვცხოვრობდით იმ გაზაფხულს მე და ჩემი ასანთის კოლოფი ასე: ის იცლებოდა, მე ახალი ღერებით ვავსებდი. მაგრამ ეს არაფერი, მთავარია, რომ ამ ჩვენს ურთიერთობას მთელი სერიოზულობით აჰყვა „დინამო“. ჯერ „ფეიენოორდს“ მოუგო, მერე „ვესტ ჰემს“ და ჰა, მიდგა ჯერი „კარლ ცაისზე“.

როგორც გითხარით, იმ გაზაფხულზე დამწყები მწეველი ვიყავი და შესაბამისად ბევრსაც არ ვეწეოდი. თან, ვიმეორებ, შინ ვმალავდი ამ ამბავს. ამას კი იმიტომ ვამბობ, რომ უფრო ნათლად წარმოიდგინოთ ასანთის კოლოფის სასწაული: ის უკანასკნელად 1981 წლის 13 მაისის საღამოს რვა თუ ცხრა საათზე დაიცალა, მათემატიკის რეპეტიტორიდან რომ დავბრუნდი, მაშინ. სხვა სიტყვებით, სახლში შესვლის წინ ბოლო ღერი მოვწიე და კოლოფიც გაცარიელდა...

თამაშის ანგარიში კარგად იცით: რიკარდო ლატანცის საფინალო სასტვენის ხმაზე მთელი ქვეყანა „დინამოს“ სტადიონისკენ დაიძრა. ცხადია, მეც იქით გავეშურე, მოედანზე შევედი, ზუსტად ცენტრიდან ბალახი მოვწიწკნე და ასანთის ცარიელ კოლოფში შევინახე...

პაპუნა კვიდა

ვუნარა ფოლადაშვილის ფოტო

50-იანი წლები — თბილისის „დინამოს“ მაშინ კარგი დრო არ ედგა, ჰქონდა გამონათებები, მაგრამ მთლიანობაში ის ათწლეული „დინამოსთვის“ წარუმატებელი იყო. მიუხედავად ამისა, საინტერესო ამბები მაშინდელ „დინამოშიც“ ხდებოდა. 50-იანი წლების ისტორიებს მეკარე მიხეილ პირაევი და ნახევარმცველი დოდიკ ხუნდაძე იხსენებენ...

ვუნარა ფოლადაშვილის ფოტო

ხმელი ფოთოლი, დაფნის ფოთოლი და ბუგი-ვუგი მაგიდაზე

მიხეილ პირაევი: ჩემი ძმა პარტიულ თანამდებობაზე მუშაობდა, როცა 1937 წელს დააპატიმრეს და გვითხრეს, ათი წლით ციხეში იჯდება მიმოწერის უფლების ჩამორთმევითო. დაპატიმრების დღიდან სხვა მასზე არაფერი გაგვიგია. თბილისის „სპარტაკში“ ვთამაშობდი, როცა მოსკოვის ავიაციის უფროსმა ვასილ სტალინმა მამაჩემს კაცი მიუგზავნა — შენი შვილი მოსკოვის ვევეესში გამოუშვი სათამაშოდ და დაპატიმრებულ ვაჟზე რამეს შეგატყობინებთო. მამაჩემმა მითხრა, სხვა, აბა, რაში უნდა გამოგვადგე, ფეხბურთის თამაშის გარდა არაფერი გინდა და მოსკოვში უნდა წახვიდე სათამაშოდო. ჰოდა, 1950 წელს ჩავირიცხე ვევეესში.

— სტალინის ვაჟმა სიტყვა შეასრულა და ჩემი ძმის ამბავი შევიტყვეთ — დაპატიმრების მეშვიდე დღეს ის დაუხვრეტიათ. ვევეესში სამი სეზონი ვითამაშე და სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეს კლუბი გაუქმდა. მითხრეს, მოსკოვიდან არ გაგიშვებთო და მოსკოვის „სპარტაკში“ გადამიყვანეს, სადაც 1953 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი, მომდევნო წელს კი მეორე ადგილზე გავედით. მიუხედავად ამისა, გუნდის მწვრთნელი ვასილ სოკოლოვი დაითხოვეს და „სპარტაკში“ დარჩენის სურვილი აღარ მქონდა — 1953 წელს თბილისის „დინამოში“ ჩავირიცხე.

— „დინამოში“ იმ დროს თაობათა ცვლა მიდიოდა, კარში კი ხან მარღანია იდგა, ხან მე. მაშინდელი ფორვარდებიდან ყველაზე უფრო მოსკოვის დინამოელებს, ტროფიმოვს და ბესკოვს ვუფრთხოდი, ისინი ძალიან ძლიერი თავდამსხმელები იყვნენ. კონსტანტინ ბესკოვი სხვა საფეხბურთო ელემენტების გარდა „ხმელი ფოთოლითაც“ გამოირჩეოდა — შვიდკაციან ცოცხალ კედელს შემოავლებდა ბურთს და ისე გაჰქონდა.

— ჩვენც კარგი ფორვარდები გვყავდა — ზაურ კალოევი და ანდრო ზაზროევი. კალოევი მრავალმხრივი თავდამსხმელი იყო, მეტოქეთა მცველ-მეკარეებისთვის ძალიან მოუხელთებელი. ძალიან მაგარი ფეხბურთელი იყო ჩვენი ნახევარმცველი რეზო მახარაძე, თუმც მაშინდელი „დინამო“ მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ აღწევდა.

— „დინამოში“ რომ მივედი, გუნდს ანდრო ჟორდანია წვრთნიდა, მერე კი მის ნაცვლად ვაიოზ ჯეჯელავა დანიშნეს. ერთხელაც ჩვენთან სათამაშოდ თურქული გუნდი ჩამოვიდა და საქართველოს ცეკას პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ გვითხრა; ოღონდ ამათ მოუგეთ და საბჭოთა კავშირის ა კლასიდან რომც გავარდეთ, მაინც დაგტოვებთ ა კლასშიო. ჯეჯელავამ მე, მარღანია და ზაზროევი თურქებთან არ გვათამაშა, უთქვენოდაც მოვიგებთო, მაგრამ ის მატჩი წავაგეთ. დაიბარეს ჯეჯელავა ცეკაში და იქ უთქვამს, პირაევი, მარღანია და ზაზროევი იმიტომ არ ვათამაშე, რომ ვარჯიშებზე რიგიანად არ ირჯებოდნენო. ჯეჯელავას დაუჯერეს და სამეული გუნდიდან გავიშვეს.

გავიდა ხანი და ტეკას მდივანმა გიორგი გეგეშიძემ მითხრა, დაბრუნდი „დინამოშიო“, მაგრამ ვიუარე, გაშვებული კაცი გუნდში აღარ დავბრუნდებოდი. „დინამოს“ მერე აღარსად მითამაშია, ბავშვთა ფეხბურთში ვმუშაობდი მწვრთნელად.

დოდიკ ხუნდაძე: „დინამომდე“ თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში ვთამაშობდი და სწორედ მაშინ, 1957 წელს მოხდა ასეთი რამ: სვერდლოვსკში იქაურ სკა-ს ვეთამაშებით, მატჩს ჩინეთის დელეგაციაც ესწრება და სვერდლოვსკელმა გულშემატკივრებმა გამომწვევი შეძახილებით აგვიკლეს — ей, грузини, лавровый лист, яблоки... ჩვენმა ერთ-ერთმა თანაგუნდელმა ედუარდ თორაძემ ველარ მოითმინა, შორტები ჩაიხადა და თავისი ავლადიდება იმ გულშემატკივრებს მიუშვირა — აი, ესეც თქვენი დაფნის ფოთოლიო.

— „დინამოში“ ოფიცერთა სახლის გუნდიდან 1958 წელს ერთად გადაგვიყვანეს მე, თენგიზ მელაშვილი და ბორია სიჭინავა. მაშინ „დინამოში“ ახალი გუნდი ყალიბდებოდა, მიხეილ მესხი და სიომა ბარქაია მაშინ იწყებდნენ „დინამოში“ თამაშს.

— 1958 წელს ჩვენთან სათამაშოდ ფრანგული „რასინგი“ ჩამოვიდა. ფრანგებს ყველაზე მაგარი ფეხბურთელი პოლონური წარმოშობის სიზოვსკი ჰყავდათ. მას მე ვმეურვეობდი, მაგრამ ბურთი ფეხებშუა გამიძვრინა, სიჭინავაც მოატყუა და 0:1. გამთანაბრებელი მესხმა შეაგდო, მაგრამ მერე სიზოვსკიმ კვლავ გაიტანა. ვაგებთ, ბოლო წუთებია, შეტევაში ჩავერთე და გოლი გავიტანე, მატჩიც 2:2 დამთავრდა. თამაშის შემდეგ ბანკეტი გაიმართა. სიზოვსკი ჯერ სცენაზე ავიდა, საქსაფონზე დაუკრა, მერე სხვა ინსტრუმენტებზეც, ხოლო, როცა შეთვრა, მაგიდაზე ავიდა და ბუგი-ვუგი იცეკვა. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძე გვამშვიდებდა, სიზოვსკის ხმა არ გასცეთო. ცოტაც და, სიზოვსკის სხვა რამეც მოუნდა — მადმუაზელ, მადმუაზელ! ასე გაიძახოდა და ბანკეტის მერე მანდილოსნებიც გააცნეს.

— ამავე ბანკეტზე მჟავანაძის თანაშემწემ გამოგვიცხადა, თქვენ დასაჩუქრებულები ხართ „რასინგთან“ კარგი თამაშისთვისო და კონვერტები გადმოგვცა. თითოეულ კონვერტში 200 მანეთი იყო, ჯემალ ზეინკლიშვილმა კი ბასა ღოღობერიძეს გასაგონად ჩაილაპარაკა, რა კარგია, 300-მანეთიანი პრემია რომ მოგვცესო. ღოღობერიძემ კი თანაგუნდელებში მოიკითხა, თუ რამდენი ერგოთ მათ. აი, ასეთი ხუმრობა იცოდა ზეინკლიშვილმა...

50-იანი წლების „დინამოს“ ლეგენდა ავთანდილ ღოღობერიძე (მარჯვნივ)

I ჯალათა	III ჯალათა
გერმანია	ხორვატია
ბრაზილია	ჩეხეთი
არგენტინა	ჰოლანდია
ინგლისი	პოლონეთი
საფრანგეთი	პორტუგალია
იტალია	შვედეთი
მეძსიკა	შვეიცარია
ესპანეთი	უკრაინა
II ჯალათა	**IV ჯალათა**
ავსტრალია	ირანი
ანგოლა	იაპონია
განა	საუდის არაბეთი
კოტ-დივუარი	სამხრეთ კორეა
ტოგო	კოსტა რიკა
ტუნისი	ტრინიდადი და ტობაგო
ეკვადორი	აშშ
პარაგვაი	სერბეთი

გადაკალათება

ზეგ ლაიპციგში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მონაწილე 32 გუნდს რვა ჯგუფში გადაანაწილებენ. ფიფას განთესვის პრინციპზე გუშინწინდელ „სარბიელშიც" ვწერდით, რომელიც გუშინ ოდნავ შეიცვალა.

პირველ კალათაში ადგილი ყველამ შეინარჩუნა, ხოლო რამდენიმე ქვეყანა მეოთხეში გადაისროლეს, მათ შორის: აშშ, სამხრეთ კორეა, იაპონია და სერბეთი.

მოკლედ, აგერ კალათები და პარასკევს წილისყრაა — დანარჩენზე შაბათის „სარბიელში".

გაზას მუშტი და პატარა კეტერინგი

ლივერპულში, „ჰოუფ სტრიტ ჰოტელის" წინ კაცის გალახვისთვის დაიჭირეს პოლ გესქონი. კაცი, ცხადია, ჟურნალისტი იყო და „გაზას" გამოჩენას ელოდა.

38 წლის გესქონი ლივერპულში იყო და ანტიალკოჰოლურ ფონდს ფულის შეგროვებაში ეხმარებოდა. მისგან ნაცემი კაცის ვინაობა არ სახელდება. ცნობილია, რომ მან ექიმსაც მიმართა და იჩივლა კიდეც. ეს ამბავი ორშაბათ საღამოს მოხდა.

„გაზა" ისედაც ცუდ ხასიათზე იყო, რადგან ორშაბათ დილით სამსახურიდან დაითხოვეს. ოქტომბრიდან ის ინგლისის ნონ-ლიგის ჩრდილოეთ კონფერენციის კლუბის, „კეტერინგ თაუნის" მენეჯერად მუშაობდა, თუმცა კლუბის პატრონმა იმრაან ლადაკმა დაითხოვა.

პატრონის თქმით, მასთან მუშაობა პრობლემურია, „გაზას" თქმით კი, მას მენეჯერობას არ აცლიდნენ და ბოლო ხუთ კვირას ხელფასიც არ მიუციათ. პოლის ხელში გუნდმა ორი თამაში მოიგო, ორი წააგო და ორიც ფრედ დაამთავრა.

გაზას ძალიან არ უნდოდა „კეტერინგიდან" წამოსვლა, ისიც კი თქვა, ამ კლუბს ვიყიდიო, ოღონდაც, ლადაკმა განაცხადა, „კეტერინგი" არ იყიდებაო. თავმჯდომარემ ისიც თქვა, პოლს „პროფესიული საექიმო დახმარება სჭირდებაო". ასე რომ, გესქონის სამუშაო, სულ რაღაც 38 დღეს გაგრძელდა.

იმრაან ლადაკი იმასაც ამბობს, „გაზა" თვრებოდაო, პოლი კი უარყოფს.

„ერთი თამაშის წინ, ორმაგი ბრენდი დავლიე და ორ ბოთლ ვისკად მიცქერეს — თქვა გესქონმა — ერთი თამაშის შემდეგ კი, ერთი ჭიქა ღვინო და თავმჯდომარეს ვუთხარი, მუშაობა დამაცადეთ-თქო".

„თუ შენ ლოთობისგან იმკურნალე, სმას უნდა შეეშვა" — თქვა ლადაკმა. პოლი კი ასე არ ფიქრობს.

„პოლს მხოლოდ პოლი თუ უშველის. ძალიან არ მინდოდა მისი გაშვება. ეს უმძიმესი რამ არის, რაც კი ცხოვრებაში გამიკეთებია" — დასძინა ბოლოს ლადაკმა.

„გაზა" კი ჯიუტად არ თმობს „კეტერინგს".

„ეგ თავმჯდომარე არ არის, ეგ უბრალოდ ექიმია — ამბობს ის — მე „კეტერინგს" ვიყიდი. მე პოლ გესქონი ვარ, მილიონერი და ძალიან გავბრაზდი. ადრეც შევთავაზე, ავუხსენი, ფანები და „გაზა" ექიმის წინააღმდეგ, ვინ მოიგებს? გუნდი და ხალხი ჩემ მხარესაა. ორი წლის წინ, ასეთ ამბავს ფეხებზე დავიკიდებდი, მაგრამ ახლა არა. მე ნიჭიერი ვარ და ვიცი, მინდორზე რაც ხდება".

ჰოდა, ამ ცხელ გულზე „გაზას" მავანი ჟურნალისტიც შემოელახა.

ირაკლი გამყრელიძე

იმრაან ლადაკმა და პოლ გესქონმა ერთმანეთს დასცხეს

მისის კლუმი თითებს აჯვარედინებს ნუ იპრანჭები, ბეჭზ!

პარასკევს, 9 დეკემბერს მთელი დედამიწა მზერას ლაიპციგს მიაპყრობს, სადაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის ცერემონიალი და მას დართული გალა წარმოდგენა გაიმართება. და, როგორც გუშინდელ „სარბიელში" გაცნობეთ, საღამოს ჟურნალისტ რაინჰოლდ ბეკმანთან ერთად წარუძღვება გერმანელი მოდელი ჰაიდი კლუმი



ჰაიდი კლუმი

— მისის კლუმ, თქვენ პარასკევს 300 მილიონი ადამიანი შეგხედავთ. ხომ არ ნერვიულობთ?

— ცხადია, ვნერვიულობ. კიდევ კარგი ლაიპციგში სარეპეტიციოდ ორი დღე გამომიყვეს, თუმცა როდესაც მილიონები გიყურებენ, ბუნებრივია, გული უფრო ჩქარა გიცემს.

— რა გეცმებათ?

— ფირუზისფერი კაბა. თუმცა, ქალების ამბავი ხომ ყველამ კარგად იცის და არაა გამორიცხული, ბოლოწამს გუნება შემეცვალოს.

— ამ ცერემონიალის გაძღოლა თქვენი კარიერისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება?

— რამდენიმე მნიშვნელოვანი შოუ და პრეზენტაცია მაქვს წაყვანილი, მაგრამ მათი მაყურებელი მაინც შეზღუდული რაოდენობით იყო, რადგან საქმე მოდების ინდუსტრიას ეხებოდა. ფეხბურთი კი სხვა დონის მოვლენაა, ეს სფერო გაცილებით მეტ ადამიანს აინტერესებს.

— თქვენ შვილებს, ლენისა და ჰენრის ჩაიყვანთ ლაიპციგში?

— დიახ, ბავშვები ჩემთან იქნებიან. აი, მეუღლეს, სილს კი შობის წინ აურაცხელი საქმე აქვს, თავის ახალ CD-ს წერს და ამიტომ ჩვენთან ერთად ვერ იქნება.

— თქვენ ბერგიშ გლადბახში დაიბადეთ, მაგრამ ახლა ნიუ იორკში ცხოვრობთ და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებთ, თითქოს მთელი მსოფლიო თქვენი სახლია. როგორ ჩანს, გარედან თქვენი სამშობლო გერმანია?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ საოცრად მეამაყება მსოფლიოს ჩემპიონატს გერმანია რომ მასპინძლობს. მეამაყება ისიც, რომ კენჭისყრის ცერემონიალს ინგლისურად წარვუძღვები. გერმანია კი გარედან პატიოსანი, ხაზგასმით პუნქტუალური და აკურატული ხალხის ქვეყანად ჩანს. მართალია, ამ თვისებებს ზოგი დასცინის, მაგრამ მე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, როგორც პუნქტუალური, პატიოსანი და აკურატული ადამიანი. მე თუ ვამბობ, რომ რამეს გავაკეთებ, წყალი აღარ გაუვა.

— თქვენი აზრით, როგორ გაართმევს გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობას თავს?

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ძალიან კარგად. ქვეყანაში რამდენიმე ახალი სტადიონი და სხვა უამრავი ნაგებობა აშენდა. დიდი სამუშაოა შესრულებული.

— მასპინძელი ქალაქებიდან თქვენი ფავორიტი რომელია?

— მართალია, კარგა ხანს ჰამბურგში ვმუშაობდი და ეს ქალაქი ძალიან მიყვარს, კიოლნს დავასახელებ. ეს ის ქალაქია, სადაც ბავშვობაში მამის მოცემული ფულით საყიდლებზე გამოვრბოდი. ის ჩემ სახლთან ახლოს იყო.

— რას ურჩევთ უცხოელებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიაში ჩამოვლენ?

— რაიმე ტიპიურ გერმანულს. მაგალითად, შემწვარ ნეკნებს კომბოსტოს მწნილთან, რასაც ზუერკრაუტი ჰქვია.

— ფეხბურთზე ნამყოფი ხართ?

— მიუნხენის ახალი სტადიონის გახსნაზე სილი მღეროდა და მეც ვახლდი. თამაში ამხანაგური იყო, მგონი არ ითვლება, არა?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე დასწრებას აპირებთ?

— სიამოვნებით დავესწრებოდი ფინალს. აი, თითებიც გადავაჯვარედინე, იქ იურგენ კლინსმანმა და გერმანიამ რომ გაიმარჯვოს.

— წარმოიდგინეთ, რომ გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს. მერე?

— 1996 წელს, ევროპის ჩემპიონატის დღეებში ერთ-ერთ ინგლისურ პაბში ვიყავი და მახსოვს, რა ხდებოდა. მე იქიდან გავიპარე, მაგრამ სამუდამოდ დამამახსოვრდა.

— და ბოლოს, მისის კლუმ, პირდაპირ გკითხავთ, ვინ არის ყველაზე კარგი შესახედავი ფეხბურთელი?

— ჩემი ფავორიტია ლუიშ ფიგუ. ვიცი, რომ რონალდოც კარგი ბიჭია, დევიდ ბექემი კი ცოტა ზედმეტად ლამაზი მგონია. კაცმა ვარცხნილობასა და ჩაცმაზე ამდენი არ უნდა იფიქროს.

ჰაიდი კლუმს ბექემისნაირი კაცები არ იზიდავს

ბრაზილიის ჩემპიონატში „ბოტაფოგოსა“ და „ფორტალეზას“ მატჩს (2:0) სამწუხარო ინციდენტი მოჰყვა. ავტობუსს, რომელშიც „ფორტალეზას“ ქომაგები იყვნენ, გზა „ბოტაფოგოს“ გულშემატკივრებით სავსე მანქანამ გადაუღობა და ქვების სროლა დაუწყო, რასაც ავტობუსიდან გასროლა მოჰყვა და პასუხმა არც მანქანიდან დააყოვნა. შედეგად ორივე მხარეს თითო ქომაგი გარდაიცვალა. პოლიციამ უკვე დაიწყო გამოძიება. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიაში ასეთმა შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა.

ინგლისური „მანჩესტერის იუნაიტედის“ თავდამსხმელი ოლე გუნარ სოლსკიაერი მუხლის სერიოზული ტრავმის შემდეგ ფეხბურთს უბრუნდება. მან 2004 წლის მერე პირველად ითამაშა „მანჩესტერისა“ და „ლივერპულის“ სარეზერვო გუნდების მატჩში. „შესანიშნავი გრძნობაა, ამდენი ხნის მერე ისევ მოედანზე გასვლა“ — თქვა სოლსკიაერმა.

იტალიური სერია A-ს 2005 წლის ყველაზე გამოუსადეგარ ფეხბურთელად კრისტიან ვიერი დაასახელეს. ამგვარ სახუმარო გამოკითხვას იტალიის ტელე-რადიო კომპანია **RAI** უკვე ყოველწლიურად ატარებს. „მილანის“ სათადარიგოთა სკამს გაშინაურებულმა ვიერიმ ოდნავ გაუსწრო „ინტერში“ წლეულს გადასულ სანტიაგო სოლარის.

ესპანურ „დეპორტივოს“ ზაფხულამდე მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდ ხავიერ არისმენდის თხოვება აქვს განზრახული. 21 წლის თავდამსხმელი „ათლეტთა“ ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და კლუბის გამოცვლა თავადაც უნდა.

შვედეთის ნაკრების მეორე მეკარე ედი გუსტაფსონი ნორვეგიულ „ლინში“ გადაბარგდა. იგი „ბოლტონში“ წასული ომანელის, ალი ალ-ჰასბის შემცვლელი იქნება. გუსტაფსონს ნორვეგიაში თამაშის გამოცდილება უკვე აქვს — ადრე იგი „მიოლდესა“ და „ჰამ კამის“ ღირსებას იცავდა.

ბრაზილიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ რომარიომ, კარიერის დასრულება გადაიფიქრა. „ვასკუ და გამას“ თავდამსხმელი ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 22 გოლით. შეგახსენებთ, რომ რომარიო იანვარში 40 წლის გახდება. „ბევრი მაკრიტიკებდა, მაგრამ, მგონი, კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ მაღალ დონეზე თამაში ისევ შემიძლია. ახლა „ვასკუსთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვფიქრობ“ — თქვა რომარიომ.

იტალიურ „რომას“ ფილიპ მექსეშის ტრანსფერის გამო ზაფხულის მსგავსად, კვლავ აუკრძალეს იანვარში ახალი ფეხბურთელების დამატება, თუმც „გლადიატორები“ გასაჩივრებას კიდევ ერთხელ აპირებენ და საკუთარი სიმართლის სჯერათ. უეფა „რომას“ აპელაციას რამდენიმე დღეში განიხილავს.

ესპანურ „სოსიედადს“ მიკელ არანბურუ დაახლოებით ექვსი თვით დააკლდება. მან მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და მკურნალობა სჭირდება.

შოტლანდიური „სელტიკი“ „ტოტენჰემის“ ნახევარმცველ პედრუ მენდეშის გადაბირებას აპირებს. გლაზგოელებს პორტუგალიელი ნახევარმცველი თვალში რა ხანია, მოუვიდათ და მისი იანვარშივე დამატება აქვთ განზრახული.

იტალიური „ინტერის“ ურუგვაელ ლეგიონერ ალვარო რეკობას კიდევ რამდენიმე წლით „ინტერში“ დარჩენა განუზრახავს და კლუბისგან ახალ კონტრაქტს ელის. „ვაპირებ, კიდევ ორი-სამი წელი „ინტერთან“ ერთად გავატარო, მერე კი სამშობლოში დავბრუნდები და კარიერას ჩემ პირველ გუნდში, „დანუბიოში“ დავამთავრებ“ — თქვა რეკობამ.

რუსული „ლოკომოტივი“ ორი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დარჩა — დმიტრი ხოხლოვმა კარიერის „დინამოში“ გაგრძელება არჩია, ბრაზილიელ ფრანსისკო ლიმასთან კი ახალი შეთანხმების გაფორმება თავად რკინიგზელებმა არ ისურვეს.

გერმანული „ჰამბურგის“ ერთ-ერთი ლიდერი რაფაელ ვან დერ ვაარტი „კიოლნთან“ მატჩისას დაშავდა. იგი დაახლოებით ორი თვე ვეღარ ითამაშებს. ჰამბურგელ ექიმებს იმედი აქვთ, რომ ჰოლანდიელი პლეიმეიკერი ზამთრის შესვენების მერე ჯანზე იქნება.

იტალიური „პარმას“ ნახევარმცველი დომენიკო მორფეო ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მორფეო სერია A-ს ბოლო ტურში, „რეჯინასთან“ მატჩისას გააძევეს, რასაც ფეხბურთელის აღშფოთება მოჰყვა, მან მსაჯს ჯერ უწმაწური სიტყვებით აგინა, მერე კი ხელიც გაარტყა.

იგი წავა და ფერნანდო მოვა
საკის იერო შეცვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადრიდის „რეალიდან“ ვანდერლეი ლუშემბურგოს გაშვებიდან ორი დღის მერე, კლუბი ერთი სახელიანი წევრითაც გაღარიბდა — „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ გადადგომის თაობაზე განაცხადა. დავაზუსტოთ: საკი კლუბს ოფიციალურად სამ კვირაში, საახალწლოდ გამოეთხოვება, თუმც ფაქტობრივად, უკვე წასულად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

გადადგომის ოფიციალური მიზეზი „რეალის“ საიტზე წერია: „არიგო საკიმ თქვა, რომ „რეალში“ თავს ბედნიერად გრძნობს, მაგრამ ოჯახური მიზეზების გამო იძულებულია, კლუბიდან წავიდეს“.

ოჯახური მიზეზების მოშველიება ხშირ შემთხვევაში წასვლის რეალური მიზეზის დასაფარავად გამოიყენება. ჰოდა, ესპანური მედიაც ეჭვობს, რომ არანაირი ოჯახური პრობლემა იტალიელს არ აქვს. ხოლო მისი გადადგომის ნამდვილი მიზეზის პოვნა ძნელი არ უნდა იყოს — ვანდერლეი ლუშემბურგო.

საქმე ის გახლავთ, რომ თერთმეტი თვის წინ ბრაზილიელი მწვრთნელი „რეალმა“ სწორედ საკის რეკომენდაციით მიიყვანა. ისიც ცნობილია, რომ კვირას, როცა კლუბის დირექტორატის კრებაზე ლუშემბურგოს ბედი წყდებოდა, საკი მისი გაშვების წინააღმდეგი იყო. ერთი სიტყვით, დიდი სიზუსტით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არიგო თავის პროტეჟეს პროტესტის ნიშნად გაჰყვა.

საკიზე კი დავძენთ, რომ მან სახელი „მილანში“ მუშაობისას გაითქვა. „პარმას“ მწვრთნელიც იყო, უდიდეს მიღწევად კი იტალიის ნაკრების 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაყვანა ეთვლება.

ამბობენ, საკის პოსტს „რეალის“ ოდინდელი თილისმა და კაპიტანი ფერნანდო იერო დაიკავებსო.

კოტე კეკელია

AFP მადრიდიდან

არიგო საკი ვანდერლეი ლუშემბურგოს ნაკვალევზე

ინგლისი

პრემიერლიგა. XV ტური

ბირმინგემი 1:2 ვესტ ჰემი

1:0 ჰესკი (11), 1:1 ზამორა (36), 1:2 ჰერვუდი (45)

ბირმინგემი: ვესენი, მელხიოტი (ლაზარიდისი 8), კანინგემი, მარტინ ტეილორი (კილკენი 46), აპსონი, პენანტი, დ. ჯონსონი, იზეტი (ბათი 23), ე. გრეი, დ. დანი, ჰესკი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

ვესტ ჰემი: კეროლი, რეფეკა, გაბიდონი, ე. ფერდინანდი, კონჩესკი, ბენაიუნი (ნიუტონი 90), ნობლი (დეილი 78), მალინსი, ეზერინგტონი, ჰერვუდი, ზამორა (ბელიონი 69)

მწვრთნელი: ალან პერდიუ

გაფრთხილება: ჰესკი, რეფეკა

მსაჯი: ატკინსონი

24 010 მაყურებელი

ჩელსი	15	13	1	1	34:7	40
მანჩესტერი	14	9	3	2	24:13	30
ლივერპული	14	8	4	2	18:8	28
ტოტენჰემი	15	7	6	2	19:12	27
არსენალი	14	8	2	4	22:12	26
ბოლტონი	14	8	2	4	17:13	26
უიგანი	14	8	1	5	16:13	25
სიტი	15	7	3	5	19:13	24
ვესტ ჰემი	14	6	4	4	18:13	22
მიდლსბრო	15	5	4	6	20:21	19
ნიუკასლი	15	5	4	6	13:15	19
ჩარლტონი	14	6	1	7	19:23	19
ბლეკბერნი	15	5	3	7	15:20	18
ფულემი	15	4	4	7	16:20	16
ასტონ ვილა	15	4	4	7	15:23	16
ევერტონი	14	5	1	8	7:16	16
ვესტ ბრომვიჩი	15	3	4	8	15:24	13
პორტსმუთი	15	2	4	9	11:23	10
ბირმინგემი	14	2	3	9	9:19	9
სანდერლენდი	16	1	2	13	14:33	5

პორტუგალია

სუპერლიგა. XIII ტური

გიმარაეში 0:3 ლეირია

0:1 ა. ტურე (2), 0:2, 0:3 პაულუ სეზარი (6, 43)

პორტუ	13	8	4	1	20:8	28
ნასიონალი	13	8	3	2	15:5	27
სეტუბალი	13	8	2	3	11:3	26
ბრაგა	13	8	2	3	13:6	26
სპორტინგი	13	7	3	3	18:15	24
ბენფიკა	13	6	4	3	20:12	22
ბოავიშტა	13	5	7	1	20:12	22
ფერეირა	13	5	3	5	16:17	18
აკადემიკა	13	5	2	6	12:16	17
რიუ ავე	13	4	4	5	17:19	16
ლეირია	13	4	3	6	15:16	15
მარიტიმუ	13	3	6	4	14:15	15
ბელენენსეში	13	4	2	7	14:16	14
ამადორა	13	3	4	6	9:13	13
ნავალი	13	3	2	8	13:21	11
ჟილ ვისენტე	13	3	2	8	9:17	11
გიმარაეში	13	3	1	9	7:20	10
პენაფიელი	13	1	4	8	10:22	7

იტალია

სერია B. XVIII ტური

ატალანტა 3:1 კატანძარო

0:1 კორონა (37), 1:1 მარკოლინი (43), 2:1 რივალტა (73), 3:1 ვენტოლა (85)

მანტოვა	18	11	7	0	23:8	40
ტორინო	18	10	5	3	19:10	35
ატალანტა	18	11	1	6	27:19	34
კატანია	18	9	6	3	27:20	33
ჩეზენა	18	8	5	5	25:18	29
ბრეშა	18	7	8	3	23:16	29
ვერონა	18	7	7	4	19:12	28
მოდენა	18	6	9	3	23:16	27
არეცო	18	6	8	4	20:15	26
პესკარა	18	7	5	6	22:20	26
პიაჩენცა	18	6	7	5	24:20	25
ტრიესტინა	18	7	4	7	17:19	25
კროტონე	18	6	6	6	17:16	24
რიმინი	18	6	5	7	22:22	23
ბარი	18	5	7	6	19:19	22
ბოლონია	18	4	8	6	19:22	20
ვიჩენცა	18	5	5	8	20:26	20
ტერნანა	18	4	6	8	14:26	18
ალბინოლეფე	18	2	8	8	12:21	14
აველინო	18	3	4	11	14:31	13
კატანძარო	18	2	5	11	9:22	11
კრემონეზე	18	1	4	13	12:29	7

საფრანგეთი

II დივიზიონი. XVIII ტური

ლე ავრი 2:2 ბასტია

ვალანსიენი	18	9	6	3	25:15	33
სედანი	17	9	6	2	24:15	33
ბასტია	17	9	4	4	26:15	31
ლორიანი	18	8	7	3	23:12	31
კრეტეი	18	8	5	5	29:16	29
შატორუ	18	6	8	4	24:21	26
ბრესტი	18	6	7	5	21:18	25
კაენი	18	5	8	5	21:17	23
ამიენი	18	5	8	5	20:19	23
გრენობლი	18	6	5	7	17:21	23
ლე ავრი	18	5	7	6	23:22	22
დიჟონი	18	5	7	6	16:19	22
რეიმსი	18	4	9	5	13:12	21
ლავალი	18	6	3	9	19:25	21
მონპელიე	18	5	6	7	18:24	21
გენიონი	18	4	8	6	13:22	20
ისტრი	18	4	7	7	16:24	19
გენგამი	18	3	8	7	12:16	17
კლერმონი	18	4	5	9	13:31	17
სეტე	18	2	8	8	17:26	14

გერმანია

II ბუნდესლიგა. XV ტური

დინამო 1:1 კოტბუსი

1:0 ბროკერი (29), 1:1 თ. როსტი (45)

ბოხუმი	15	8	5	2	25:13	29
მიუნხენი	15	8	3	4	24:17	27
ფიურტი	15	8	3	4	26:21	27
ალემანია	15	8	2	5	29:20	26
კოტბუსი	15	7	4	4	26:19	25
ფრაიბურგი	14	7	4	3	22:16	25
ბრაუნშვაიგი	15	7	3	5	19:14	24
კარლსრუე	15	7	3	5	19:16	24
პადერბორნი	15	7	2	6	26:17	23
უნტერჰახინგი	15	6	2	7	25:23	20
ბურგჰაუზენი	15	5	5	5	19:24	20
ჰანზა	14	5	4	5	18:18	19
აუე	15	4	6	5	13:13	18
ზიგენი	14	4	4	6	20:20	16
ოფენბახი	15	4	2	9	16:31	14
დინამო	14	3	3	8	18:25	12
ალენი	14	1	5	8	13:27	8
ზაარბრიუკენი	14	2	2	10	10:34	8

თურქეთი

სუპერლიგა. XV ტური

მალათია 0:0 ანკარაგიუჯიუ

ფენერბაჰჩე	15	12	3	0	34:15	39
გალათასარაი	15	11	2	2	33:14	35
ქაისერი	15	10	1	4	29:16	31
ბეშიქთაში	15	7	4	4	22:15	25
ერჯიესი	15	5	7	3	16:15	22
სივასფორი	15	6	4	5	16:16	22
გენჩლერი	15	5	6	4	16:11	21
კონია	15	5	5	5	20:16	20
გაზიანთეფი	15	5	5	5	21:24	20
ტრაბზონი	15	5	5	5	18:21	20
ანკარაგიუჯიუ	15	4	5	6	18:20	17
დიარბაქირი	15	5	2	8	16:26	17
მანისა	15	4	4	7	19:22	16
რიზე	15	3	5	7	12:20	14
ანკარა	15	2	7	6	18:21	13
სამსუნი	15	3	4	8	26:35	13
მალათია	15	2	5	8	10:26	11
დენიზლი	15	2	4	9	8:19	10

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XII ტური

პანიონიოსი 0:2 ძსანთი

ოლიმპიაკოსი	12	10	0	2	26:7	30
აეკ	12	9	2	1	18:6	29
პანათინაიკოსი	12	7	2	3	17:10	23
ქსანთი	12	7	2	3	17:10	23
პაოკ	12	5	4	3	19:11	19
ირაკლისი	12	5	2	5	13:15	17
ლარისა	12	4	4	4	16:13	16
ეგალეო	12	3	7	2	10:11	16
ატრომიტოსი	12	4	3	5	12:12	15
იონიკოსი	12	3	6	3	16:18	15
ოფი	12	2	6	4	9:15	12
კალამარია	12	3	3	6	8:17	12
ლევადიაკოსი	12	2	4	6	7:12	10
პანიონიოსი	12	2	3	7	9:22	9
აკრატიტოსი	12	1	4	7	6:14	7
კალითეა	12	1	4	7	7:17	7

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

A ჯგუფი

ბრიუგე — ბაიერნი

ბრიუგე. „ჟან ბრეიდელი“. მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

ბუტინა, კლემანი, მარტენსი, შპილარი, გვოზდენოვიჩი, ვანოდენაერდე, დუფერი, ლეკო, ვერმანტი, ბალაბანი, იშიაკუ

კანი, ლამი, ისმაელი, დემიკელისი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, დაისლერი, შვაინსტაიგერი, ბალაკი, მაკაი, კ. პიზარო

რაპიდი — იუვენტუსი

ვენა. „ერნსტ ჰაპელი“. მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)

პაიერი, ჰიდენი, კატცერი, ბეიბლი, ვალახოვიჩი, კორსოში, ჰლინკა, ივანშიტცი, დოლინგერი, აკაგიუნდუზი, კინცლი

ბუფონი, პესოტო, ბალძარეტი, კოვაჩი, კიელინი, კამორანეზი, ბლაზი, ჯანიკედა, მუტუ, დელ პიერო, ზალაიეტა

ვინ იქნება პირველი?

ამ ჯგუფის ბოლო ტურში მთავარი კითხვაა, ვინ დაიკავებს პირველ ადგილს. ჯერჯერობით ბურთების უკეთესი სხვაობით ეს საფეხური მიუნხენის „ბაიერნს“ უჭირავს, თუმც ტურინელები რაიმეს დათმობას არ აპირებენ და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების იმედი აქვთ.

დღესდღეობით გერმანული კლუბი „იუვეს“ ერთით მეტი გატანილი გოლით უსწრებს. ტურინელები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ უპირატესობის აღმოფხვრას შეძლებენ.

ალესანდრო დელ პიერო, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება და შეეცდება, სულ მცირე, სანუკვარი ერთი ბურთი შეაგდოს, რათა „იუვეს“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს, ჯანპიერო ბონიპერტის გაუტოლდეს. ხოლო, თუ იგი ორ ან მეტ ბურთს შეაგდებს, დღესვე გახდება „ბებერი ქალბატონის“ ისტორიაში საუკეთესო მეგოლე.

„ჩვენ მხოლოდ მოგებისთვის ვითამაშებთ და ნურავინ იფიქრებს იმას, რომ „იუვეს“ სათადარიგო შემადგენლობა მხოლოდ მონაწილეობს ტურნირში“ — თქვა ფაბიო კაპელომ, ტურინელთა მწვრთნელმა.

„ბებერი ქალბატონის“ კარს, ალბათ, ჯანლუიჯი ბუფონი დაიცავს, რომელიც ჯერ ფორმაში არ არის, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობს, ძველი დროის მალე გახსენებას.

ჯგუფის მეორე მატჩში „ბრიუგე“ „ბაიერნს“ უმასპინძლებს და ყველანაირად შეეცდება მრისხანე მეტოქის დამარცხებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ბებერი ქალბატონის“ პირველ ადგილზე გასვლას წინ, ალბათ, ვერაფერი აღუდგება.

გავრცელებული ცნობით, „ბაიერნი“ ბრიუგეში ძირითადი შემადგენლობით იომებს. აქამდე საეჭვო იყო ოლივერ კანისა და მიხაელ ბალაკის თამაში, მაგრამ ორივე მათგანმა აღნიშნა, რომ ბელგიაში სათამაშოდ მზად არიან.

ერთი სიტყვით, განსაკუთრებული და ახალი დანაკლისი არც ერთ კლუბს არ აქვს და „ბაიერნი“ მაქსიმალურად შეეცდება, იტალიელები „რაპიდთან“ უშანსოდ დატოვოს.

							ქულა
ბაიერნი	5	4	0	1	9:3		12
იუვენტუსი	5	4	0	1	9:4		12
ბრიუგე	5	2	0	3	5:6		6
რაპიდი	5	0	0	5	2:12		0

AFP ბრიუგედან

ბიჭსენტ ლიზარაზუ როი მაყაის: რას იტყვი, როი, გადავუაროთ „ბრიუგეს“?

B ჯგუფი

არსენალი — აიაქსი

ლონდონი. „ჰაიბერი“. მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)

ალმუნია, ებუ, კ. ტურე, სიგანი, სენდეროსი, ფაბრეგასი, ფლამინი, რეიესი, გლები, ბერხკამპი, ვან პერსი

შტეკელენბურგი, ტრაბელსი, ესკუდე, ვერმაელენი, ემანუელსონი, ხუანფრანი, გალაშეკი, მადურო, სნეიდერი, როზენბერგი, ბუხარი

სპარტა — თუნი

პრაღა. „ლეტნა“. მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)

ბლაჟეკი, პერგლი, პეტროუში, მ. პეტრაში, კუჩერა, ზელენკა, ჰაშეკი, კისელი, სედლაჩეკი, ჰერზანი, დოშეკი

იაკუპოვიჩი, გონსალვეში, მილიჩევიჩი, დეუმი, ჰოჯიჩი, აეგერტერი, პიმენტა, სავიჩი, ა. გერბერი, ლუსტრინელი, ჟელსონი



„არსენალის“ ძირითადში ტრავმამოშუშებული ალექსანდრ გლები ითამაშებს

მეთოფის ექვსიდან ექვსი

„არსენალს“ შანსი აქვს, ჯგუფში ექვსივე შეხვედრა მოიგოს და ამით თავისებური რეკორდი „გამოაცხოს“. საამისოდ ლონდონელებს „აიაქსის“ დამარცხება მართებთ.

ორივე გუნდმა მერვედფინალის საგზური გაინაღდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს „ჰაიბერიზე“ საინტერესო ბრძოლა გაიმართება.

„არსენალს“ ბოლო ოთხი საშინაო მატჩიდან ჰოლანდიელებთან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული. „აიაქსის“ ინგლისში შვიდი სტუმრობიდან კი ერთი ნიდერლანდელთა გამარჯვებით დასრულდა, ორი — ფრედ, სამში კი დამარცხდნენ.

არსენ ვენგერის გუნდმა პრემიერლიგაში ბოლოს „ბოლტონთან“ წააგო. ფრანგმა მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში დენის ბერხკამპი და ხოსე ანტონიო რეიესი არ ათამაშა. ვენგერი ნამატჩევს, ცხადია, უკმაყოფილო იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ „აიაქსთან“ მისი გუნდი მოსაგებად იბრძოლებს.

„არსენალს“ სავარაუდოდ, ალექსანდრ გლები დაუბრუნდება — მოეხსენებათ, ბელარუსი ნახევარმცველი ორი თვე აკლდა „მეთოფეებს“ და ამჟამად ფორმაშია. გლების გამოჯანმრთელებით არსენ ვენგერი გახარებულია. ფრანგის აზრით, ბელარუსი გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს.

„ჩვენ აუცილებლად მოგება გვჭირდება — განაცხადა ვენგერმა — ამ შემთხვევაში 18 ქულას მოვაგროვებთ. ტიერი ანრი შესაძლოა, სათადარიგოებში დავტოვო, რადგან პრემიერლიგაში ორი ურთულესი მატჩი გველის — ჯერ „ნიუკასლთან“, მერე კი „ჩელსისთან“.

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ოც შეხვედრაში „არსენალმა“ მხოლოდ ორი წააგო — „ჩელსისთან“ და „ბაიერნთან“. ლონდონური კლუბი მეოთხედფინალს ვერ გასცდა. ამასთან დაკავშირებით ვენგერმა იხუმრა: „ჩვენ ჩემპიონთა თასი ყოველწლიურად გვეკუთვნის, რაკი მხოლოდ ერთ მატჩში ვმარცხდებით. ფავორიტები არიან „ბარსელონა“, „მილანი“, „ბაიერნი“ და „ჩელსი“. „არსენალი“ მათთან შედარებით სუსტია“.

ამსტერდამის „აიაქსმა“ ჩემპიონატში „ვალვაიკს“ მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ აგებდა. ამსტერდამელთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა გუსტავო ხუანფრანმა, რომლისთვისაც ერედივიზიონში ეს პირველი თამაში იყო.

ხუანფრანის გარდა, დაბრუნდა ჯონი ჰეიტინგაც, რომელმაც გუნდის წარმატება განაპირობა. ვალვაიკელი ჰუგენდორპის გოლს პირველი ტაიმის მიწურულს მადურომ უპასუხა, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისში უესლი სნეიდერმა „აიაქსი“ დააწინაურა. ამით გალალებულმა ამსტერდამელებმა კიდევ ორი გოლი მიაყოლეს: ჯერ მარკუს როზენბერგმა იხეირა, მერე კი — რაინ ბაბელმა.

შვეიცარიულ „თუნს“, რომელიც წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის სიურპრიზია, უეფას თასზე გადასაცვლება შეუძლია. თუნელებს „სპარტასთან“ ფრეც ხელს აძლევთ, მაგრამ აქ პრობლემა ჩეხური გუნდია, რომელსაც მხოლოდ მოგება სჭირდება, უეფას თასზე გზის გასაგრძელებლად.

							ქულა
არსენალი	5	5	0	0	10:2		15
აიაქსი	5	3	1	1	10:6		10
თუნი	5	1	0	4	4:9		3
სპარტა	5	0	1	4	2:9		1

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

C ჯგუფი

უდინეზე — ბარსელონა

უდინე. „სტადიო ფრიული". მსაჯი: ერიკ ბრაამჰარი (ჰოლანდია)

დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი, ფელიპე, ძენონი, ვიდიგალი, ობოდო, მუნტარი, მაური, დი ნატალე, ბარეტო

ხორკერა, ბელეტი, ოლეგერი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ედმილსონი, გაბრი, ინიესტა, ჟიული, ლარსონი, ესკერო

ვერდერი — პანათინაიკოსი

ბრემენი. „ვეზერშტადიონი". მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

რაინკე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ანდრეასონი, შულცი, ბოროვსკი, ბაუმანი, ფრინგსი, მიკუ, ნ. ვალდესი, ჰუნტი

გალინოვიჩი, ნილსონი, მორისი, გუმასი, დარლასი, ხარალამბიდისი, ფ. კონსეისაო, ე. გონსალესი, ანდრიჩი, მანციოსი, ტორშელე

დაისვენეთ, ბიჭებო

წლეულს „ბარსელონას" ლიდერმა რონალდინიომ მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა — ბრაზილიელს მხოლოდ პრიმერა-დივიზიონის მეხუთე ტურში, „ბეტისთან" არ უბურთავია. ერთ თამაშში არ გახლდათ სამუელ ეტოოც: კამერუნელმა ვარსკვლავმა ლიგაში, „ვერდერთან" გასვლით მატჩს ტრიბუნიდან უყურა. დღეს ორივე დაისვენებს, ეტოოს მუხლის ტრავმა აწუხებს, რონალდინიოს კი ფრანკ რაიკარდი პრიმერას მომდევნო ტურში, „სევილიასთან" მატჩისთვის ინახავს. ამ ჯგუფში, რაც უნდა მოხდეს, „ბარსა" მაინც პირველ ადგილზე დარჩება და მწვრთნელმაც სულის მოთქმის საშუალება ამიტომაც მისცა მათ. მწვრთნელი ვახსენეთ და, ისიც ვთქვათ, რომ იტალიელებთან ვერც ფრანკ რაიკარდი იქნება. იგი გრიპმა გატანჯა და მის ნაცვლად „ბარსას" თანაშემწეები — ეუსებიო საკრისტანი და ჰენკ ტენ კატი დამოძღვრავენ.

კატალონიელთა ბანაკს ტრავმირებული მარკ ვან ბომელი, ხავი ერნანდესი და ტიაგო მოტაც დააკლდებიან, ხოლო თავდასხმაში ლუდოვიკ ჟიული და ჰენრიკ ლარსონი ითამაშებენ. დაცვაში ფლანგებზე, ალბათ, ჟულიანო ბელეტი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი დადგებიან. კარლეს პუიოლი კი, სავარაუდოდ, მოედანზე მეორე ტაიმში შემოვა, რაც ოლეგერის ძირითადში ყოფნას ნიშნავს. ხოლო კარს ვიქტორ ვალდესის ნაცვლად, სათადარიგო ალბერტ ხორკერა დაიცავს.

„უდინეზეში" იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩი „ლივორნოსთან" წააგო. მცველი ჩეზარე ნატალი და ნახევარმცველი ჯანპაოლო პინჩი ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ, ხოლო „ლივორნოსთან" კაპიტანი ვალერიო ბერტოტო და გუნდის უპირველესი ფორვარდი ვინჩენცო იაკინტაც დაშავდნენ. ამიტომ, „ბარსასთან" მათი თამაში საეჭვოა. იგივე ბედი ეწიათ მცველ ვენსან კანდელას და ფორვარდ ფაუსტო როსინის, ოღონდ ისინი მწყობრში მაინც იქნებიან.

ბრემენის „ვეზერშტადიონზე" კი იქაური „ვერდერი" ბერძნულ „პანათინაიკოსს" უმასპინძლებს. გერმანელებს ლიგის მერვედფინალში გასასვლელად უცილობლად გამარჯვება სჭირდებათ, თუმც თომას შაფის ბიჭების ბედი მხოლოდ მათ ხელში როდია — „ბარსასთან" პარალელურ ჯახში „უდინეზეში" ფრეც რომ ითამაშოს, „მუსიკოსები" ლიგას გამოეშშვიდობებიან, „პანათინაიკოსი" კი ურთიერშეხვედრებში ნაჩვენები ცუდი შედეგის გამო, მხოლოდ უეფას თასზე მოსახვედრად იომებს.

„ვერდერმა" შინაურ ბუნდესლიგაში ბოლოს „დუისბურგს" 2:0 მოუგო. მათ ლაზარეთში მიროსლავ კლოზე, ივან კლასნიჩი, ჟილ ვან დამი, უმით დავალა და ტიმ ვიზე არიან.

ალბერტო მალეზანის გუნდი საბერძნეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა. „ვეზერშტადიონს" ელინები ნირწამხდარნი ეწვევიან — ბოლო თამაშში „პანა" „ატრომიტოსთან" 0:1 დამარცხდა. სტუმრებს სავარაუდოდ, ტრავმირებული მცველი ფილიპოს დარლასი ვერ დაეხმარება.

„ვფიქრობ, „ვერდერს" უნდა მოვუგოთ. ლიგას მაჟორულ ნოტაზე დავასრულებთ" — დამაჯერებლად განაცხადა „პანათინაიკოსის" დამრიგებელმა ალბერტო მალეზანიმ.

ლადო ხოფერიძე

ბარსელონა	5	4	1	0	14:2	13
უდინეზე	5	2	1	2	10:10	7
ვერდერი	5	1	1	3	7:11	4
პანათინაიკოსი	5	1	1	3	3:11	4



რონალდინიოს „ბარსელონამ" დასვენების უფლება მისცა

D ჯგუფი

ვილიარეალი — ლილი

ვილიარეალი. „ელ მადრიგალი". მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

ვიერა, ხავი ვენტა, გონსალო, პენია, არუაბარენა, ხოსიკო, სენა, სორინი, რიკელმე, ხოსე მარი, ფიგეროა

ტ. სილვა, შალმე, ტავლარიდისი, ვიტაკიჩი, ტაფორო, ბოდმერი, მაკუნი, ლიხტშტაინერი, აჩიმოვიჩი, დერნისი, მუსილუ, ოდემვინჯი

ბენფიკა — მანჩესტერი

ლისაბონი. „ეშტადიო და ლუჟი". მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

კიმი, ალსიდესი, ლუიზაო, რიკარდუ როჩა, ლეო, ნელსონი, ბეტუ, პეტიტი, ნუნუ ასისი, მანტორაში, ნუნუ გომეში

ვან დერ სარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი, სმიტი, სქოულზი, რონალდუ, ვან ნისტელროი, რუნი

AFP ლისაბონიდან

რონალდ კუმანს „მანჩესტერი" არ აშინებს

სრული გაუგებრობა სალამოდე

თუ დღეს, ლისაბონის „ლუჟზე" „მანჩესტერ იუნაიტედი" ვერ გაიმარჯვებს, შესაძლოა, შეწყდეს ის, რაც ცხრა წელწადია გრძელდება — სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან ვერ გავიდეს. ისე, თუ „ვილიარეალი" ჯგუფის პარალელურ შეხვედრაში „ლილს" დაამარცხებს, მაშინ „იუნაიტედს" ფრეც ეყოფა, მაგრამ ეჭვის ამბავი ხომ იცით: აგერ უკვე ლიგის სამი მატჩია, რაც მანჩესტერელებს მეტოქეთათვის გოლი არ გაუტანიათ.

არადა, უცნაურია, ხომ მართალია? უეინ რუნის პატრონი გუნდი, რომელიც პრემიერლიგაში ჩინებულად გამოდის, ევროსაბიელზე მოკრძალებული ჩანს — ბოლო სამ თამაშში უგოლობას დაამატეთ „ვილიარეალთან" ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში რუნის წითელი ბარათი და „სტად დე ფრანსზე" „ლილთან" 0:1 წაგება. და კიდევ, „ლილთან" მეორე მატჩში, რომელიც 0:0 დასრულდა, მოედანი ნახევარმცველ პოლ სქოულზს დაატოვებინეს.

„ბენფიკას" წინააღმდეგ თავისებური სტიმული ექნება კრიშტიანუ რონალდუსაც, რომელიც „მანჩესტერმა" 2003 წელს ლისაბონის მეორე გუნდისგან, „ბენფიკას" მარად ჩასაფრებული „სპორტინგისგან" იყიდა.

მასპინძლებს არ ეყოლებათ გარემარბი და ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე სიმაო საბროსა, რომელმაც მეტოქეთა პირველ შეხვედრაში, „ოლდ ტრეფორდზე" გოლი გაიტანა — ის მატჩი „მანჩესტერმა" 2:1 მოიგო. საბროსას გარდა, საეჭვოა ბარძაყნატკენი იტალიელის, ფაბრიციო მიკოლის თამაშიც. საეჭვონი არიან აგრეთვე გიორგიოს კარაგუნისი და მანუელ ფერნანდეში.

„მანჩესტარ იუნაიტედმა" პრემიერლიგის ბოლო ტურში „პორტსმუთს" 3:0 მოუგო, „ბენფიკამ" კი პორტუგალიის სუპერლიგაში „მარიტიმუს" აჯობა 1:0.

„ბუნებრივია, „მარიტიმუსთან" გამარჯვებამ „მანჩესტერთან" თამაშის წინ, საკუთარი თავის რწმენა შეგვმატა. ჩვენ შევუტევთ, რადგან შინ ვთამაშობთ. მერედა, „მანჩესტერი" იოლად ველარ იგებს და იმედი გვაქვს, რომ ეს მატჩი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება" — განაცხადა რონალდ კუმანმა, „ბენფიკას" მწვრთნელმა.

და ბოლოს, ერთი ისტორიული წიაღსვლა: მოგეხსენებათ, შაბათს ბელფასტში დაკრძალეს „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდა ჯორჯ ბესტი, რომელსაც „ლუჟზე" დაუვიწყარი მატჩი აქვს ნათამაშევი — 1966 წელს „იუნაიტედმა" 4:1 დაამარცხა „ბენფიკა", სადაც ეუსებიო თამაშობდა. მას მერე ბრიტანელები ამ სარბიელზე არ ყოფილან.

ბუნებრივია, „ბენფიკასა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშის დარად, მნიშვნელოვანია „ვილიარეალისა" და „ლილის" შეხვედრაც, რომელთა პირველი დაპირისპირება 27 სექტემბერს უგოლოდ დამთავრდა.

ერთი სიტყვით, D ჯგუფში ყველაფერი გასარკვევია და ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით, ან თუ რომელიმეს ვქომაგობთ, მოუთმენლად დაველოდოთ შედეგებს.

პაპუნა ძედია

ვილიარეალი	5	1	4	0	2:1	7
ლილი	5	1	3	1	1:1	6
მანჩესტერი	5	1	3	1	2:2	6
ბენფიკა	5	1	2	2	3:4	5

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

შოტლანდია. პრემიერლიგა

10 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	86	აბერდინი-დანფერმლაინი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
19:00	87	სელტიკი-ჰიბერნიანი	1.40	3.70	7.20	1.01	1.17	2.44
19:00	88	ფოლკირკი-მოზერუელი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
19:00	89	ჰართსი-ინვერნესი	1.40	3.90	6.60	1.03	1.15	2.45
19:00	91	ლივინგსტონი-დანდი	2.55	3.10	2.40	1.39	1.23	1.35

11 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	92	კილმარნოკი-რეინჯერსი	3.30	3.20	2.00	1.62	1.24	1.23

შოტლანდია. II დივიზიონი

7 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	99	სტირლინგი-დამბარტონი	2.05	3.50	2.90	1.29	1.20	1.58

გერმანია. I ბუნდესლიგა

10 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:30	100	დუისბურგი-არმინია	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
18:30	101	აინტრახტი-დორტმუნდი	2.65	3.00	2.55	1.40	1.29	1.37
18:30	102	ჰამბურგი-ჰერტა	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
18:30	103	ნიურნბერგი-ლევერკუზენი	2.75	3.00	2.45	1.43	1.29	1.34
18:30	104	შალკე-მაინცი	1.40	4.20	6.50	1.04	1.15	2.55
18:30	105	ვოლფსბურგი-შტუტგარტი	2.40	3.10	2.85	1.35	1.30	1.48
18:30	630	ჰანოვერი-მიონხენგლადბახი	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59

11 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	106	ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
20:30	108	კიოლნი-ვერდერი	3.70	3.20	1.90	1.71	1.25	1.19

ავსტრია. ბუნდესლიგა

8 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:30	139	აუსტრია-რიდი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
21:30	140	გრაცერი-მატერსბურგი	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
21:30	141	პაშინგი-შტურმი	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
21:30	142	ტიროლი-ადმირა	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90

შვეიცარია. სუპერლიგა

7 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	621	ქსამაქსი-ბაზელი	6.50	3.80	1.40	2.39	1.15	1.02

იტალია. სერია A

10 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	150	სიენა-ემპოლი	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:30	151	ფიორენტინა-ტრევიზო	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75

11 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	153	ასკოლი-რეჯინა	2.15	2.90	3.50	1.23	1.33	1.58
18:00	154	იუვენტუსი-კალიარი	1.15	6.20	13.00	1.00	1.05	4.19
18:00	156	ლივორნო-ლაციო	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
18:00	157	მესინა-კიევო	2.50	2.90	2.85	1.34	1.33	1.43
18:00	158	პარმა-სამპდორია	3.10	3.00	2.25	1.52	1.30	1.28
18:00	159	რომა-პალერმო	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
18:00	160	უდინეზე-ლეჩე	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
23:30	161	ინტერი-მილანი	2.75	2.90	2.60	1.41	1.33	1.37

ესპანეთი. I დივიზიონი

10 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	199	სოსიედადი-ვილიარეალი	2.60	2.90	2.70	1.37	1.32	1.39
23:00	200	ვალენსია-ბილბაო	1.55	3.60	5.60	1.08	1.21	2.19

11 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	191	ატლეტიკო-ალავესი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
23:45	192	ბარსელონა-სევილია	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73
20:00	193	ბეტისი-ესპანიოლი	2.10	3.10	3.35	1.25	1.29	1.61
20:00	194	ხეტაფე-რასინგი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
20:00	195	დეპორტივო-კადისი	1.65	3.30	5.20	1.10	1.25	2.01
22:00	196	მალაგა-რეალი	3.80	3.20	1.90	1.73	1.26	1.19
20:00	197	ოსასუნა-მალიორკა	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
20:00	202	სარაგოსა-სელტა	2.65	2.80	2.70	1.36	1.33	1.37

საფრანგეთი. I დივიზიონი

10 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:15	214	ლილი-ლანსი	2.05	2.90	3.60	1.20	1.30	1.60
23:00	215	ლე მანი-ბორდო	2.65	2.80	2.75	1.36	1.34	1.38
23:00	216	მარსელი-ოსერი	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
23:00	217	ნანსი-სტრასბური	1.80	3.00	4.50	1.12	1.28	1.79
23:00	218	ნიცა-აიაჩო	1.80	3.10	4.10	1.13	1.25	1.76
23:00	219	პსჟ-რენი	1.75	3.10	4.50	1.11	1.25	1.83
23:00	220	სოშო-მეცი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	221	ტულუზი-ტრუა	1.95	2.90	3.80	1.16	1.28	1.64
		11 დეკემბერი						
21:00	222	ნანტი-მონაკო	2.50	2.90	2.80	1.34	1.32	1.42
23:45	223	სტ.ეტიენი-ლიონი	3.60	3.00	2.00	1.63	1.28	1.20
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		9 დეკემბერი						
23:30	244	როდა-ნაიმეგენი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
		10 დეკემბერი						
22:30	245	დენ ჰააგი-როზენდალი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
22:30	246	ჰერენვენი-ტილბურგი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
22:30	248	ბრედა-პერაკლესი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
23:00	249	ტვენტე-ალკმაარი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
		11 დეკემბერი						
15:30	251	ფეიენოორდი-პსვ	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
17:30	252	ვალვაიკი-სპარტა	1.55	3.60	5.20	1.08	1.19	2.12
17:30	253	უტრეხტი-გრონინგენი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
17:30	254	ვიტესი-აიაქსი	2.80	3.30	2.25	1.51	1.24	1.33
		პოლონეთი						
		9 დეკემბერი						
23:00	325	არკა-ლეხი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
		10 დეკემბერი						
23:00	326	ამიკა-კრაკოვია	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
20:00	327	გროცლინი-გურნიკი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
20:00	328	ოდრა-კორონა	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
20:00	329	პლოცკი-პოლონია	1.60	3.30	4.60	1.07	1.18	1.92
		11 დეკემბერი						
17:30	330	ბელჩატოვი-ვისლა	4.30	3.20	1.70	1.83	1.21	1.11
17:30	332	ლეგია-ლეჩნა	1.30	4.40	7.50	1.00	1.10	2.77
		მექსიკა						
		7 დეკემბერი						
23:45	626	ტიგრესი-მონტერეი	2.90	3.10	2.15	1.49	1.23	1.26
		8 დეკემბერი						
23:45	627	პაჩუკა-ტოლუკა	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
		ურუგვაი						
		7 დეკემბერი						
23:00	356	დეფენსორი-სერო	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
23:00	357	კოლონია-ლივერპული	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
23:45	358	მირამარი-ნასიონალი	6.00	3.80	1.40	2.32	1.13	1.02
23:00	359	რენტისტასი-ფენიქსი	1.80	3.20	3.60	1.15	1.20	1.69
23:00	360	რივერ პლეიტი-პლასა	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
23:00	361	როხა-რამპლა	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	362	ტაკუარემბო-დანუბიო	3.00	3.20	2.00	1.54	1.20	1.23
23:00	363	უონდერერსი-პენიაროლი	4.10	3.20	1.70	1.79	1.20	1.11
		ჩილე						
		8 დეკემბერი						
23:30	622	კობრესალი-უნ.ჩილე	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
23:45	623	სერენა-უნ.კატოლიკა	2.95	3.20	2.10	1.53	1.22	1.26
		ჩემპიონთა ლიგა						
		7 დეკემბერი						
23:45	373	არსენალი-აიაქსი	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
23:45	374	ბენფიკა-მანჩესტერი	3.20	3.30	2.10	1.62	1.26	1.28
23:45	375	ბრიუგე-ბაიერნი	5.50	3.50	1.60	2.13	1.23	1.09
23:45	376	რაპიდი-იუვენტუსი	6.20	3.70	1.50	2.31	1.20	1.06
23:45	377	სპარტა-თუნი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
23:45	378	უდინეზე-ბარსელონა	3.20	2.60	2.55	1.43	1.41	1.28
23:45	379	ვილიარეალი-ლილი	1.70	3.20	5.10	1.11	1.27	1.96
23:45	380	ვერდერი-პანათინაიკოსი	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
		იტალია.თასი						
		7 დეკემბერი						
19:00	385	ბარი-პალერმო	3.20	2.90	2.25	1.52	1.32	1.26
		8 დეკემბერი						
18:00	386	ლაციო-ჩიტადელა	1.20	5.20	11.00	1.00	1.08	3.53
21:00	387	კალიარი-სამპდორია	2.55	2.90	2.60	1.35	1.28	1.37
23:45	388	ნაპოლი-რომა	3.20	3.00	2.20	1.54	1.30	1.26
		როიალ ლიგა						
		8 დეკემბერი						
21:00	392	ვიოტებორგი-ოლბორგი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
21:00	393	კალმარი-ლილესტრიომი	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
21:00	394	სტარტი-მიდტიულანდი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
23:30	395	ლინი-იურგორდენი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
23:35	396	კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
23:35	397	ჰამარბი-ვოლერენგა	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
		ჰოკეი. ფინეთი						
		7 დეკემბერი						
20:30	516	ჰელსინკი-ესეტი	1.60	4.30	3.30	1.16	1.07	1.86
20:30	517	ესპოო-პელიკანსი	1.40	4.20	4.40	1.04	1.06	2.14
20:30	518	ილვესი-ჰაამეენლინა	2.30	4.20	1.95	1.48	1.05	1.33
		ჰოკეი. რუსეთი						
		7 დეკემბერი						
13:00	599	მაგნიტოგორსკი-ავანგარდი	1.45	4.50	4.20	1.09	1.07	2.17
13:00	600	მოლოტი-ლოკომოტივი	4.50	4.30	1.40	2.19	1.06	1.05

			1	X	2	1-X	1-2	X-2
13:00	601	ნოვოკუზნეცკი-ასკ	2.00	4.20	2.40	1.35	1.09	1.52
13:00	602	ცსკა-სპარტაკი	1.60	4.40	3.30	1.17	1.07	1.88
13:00	603	სიბირი-სევერსტალი	2.15	4.30	2.20	1.43	1.08	1.45
13:00	604	დინამო-ხიმიკი	1.50	4.50	3.50	1.12	1.04	1.96
13:00	605	ს.იულაევი-ნეფტეხიმიკი	1.60	4.40	3.30	1.17	1.07	1.88
13:00	606	ლადა-აკ ბარსი	3.10	4.30	1.65	1.80	1.07	1.19
		8 დეკემბერი						
13:00	607	ვიტიაზი-მვდ	2.10	4.30	2.25	1.41	1.08	1.47
		კალათბურთი. ევროლიგა						
		7 დეკემბერი						
22:15	771	ულქერი-ცსკა	2.75	12.00	1.40	2.23	1.00	1.25

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:45	772	აეკ-ბენეტონი	1.75	12.00	1.90	1.52	1.00	1.64
23:30	773	პაუ-პანაოინაიოსი	3.20	12.00	1.30	2.52	1.00	1.17
23:45	774	პარტიზანი-უნიკახა	2.50	12.00	1.45	2.06	1.00	1.29
23:45	775	ტაუ-ბამბერგი	1.06	12.00	6.50	1.00	1.00	4.21
		8 დეკემბერი						
21:15	776	ქალგირისი-სტრასბური	1.10	12.00	4.50	1.00	1.00	3.27
22:45	777	პროკომი-ეფესი	2.20	12.00	1.55	1.85	1.00	1.37
22:45	778	მაკაბი-რიტასი	1.20	12.00	3.70	1.09	1.00	2.82
22:45	779	რეალი-სიენა	1.35	12.00	2.80	1.21	1.00	2.27
21:30	780	ციბონა-ოლიმპიაკოსი	1.75	12.00	1.90	1.52	1.00	1.64
22:00	781	ოლიმპია-ბოლონია	2.25	12.00	1.50	1.89	1.00	1.33
23:45	782	მილანი-ბარსელონა	2.00	12.00	1.65	1.71	1.00	1.45

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10373	არსენალი-აიაქსი	1.85	2.20	5.50	1.00	1.38	1.57
10374	ბენფიკა-მანჩესტერი	3.65	2.00	2.55	1.29	1.50	1.12
10375	ბრიუგე-ბაიერნი	5.50	2.10	1.90	1.51	1.41	1.00
10376	რაპიდი-იუვენტუსი	6.00	2.20	1.75	1.60	1.35	1.00
10377	სპარტა-თუნი	2.25	2.10	4.65	1.08	1.51	1.44
10378	უდინეზე-ბარსელონა	3.30	1.90	2.60	1.20	1.45	1.09
10379	ვილიარეალი-ლილი	2.15	2.00	5.00	1.03	1.50	1.42
10380	ვერდერი-პანათინაიოსი	1.70	2.40	6.00	1.00	1.32	1.71

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11373	არსენალი-აიაქსი	2.10	10.00	20.00	3.50	4.50	9.00	20.00	10.00	8.00
11374	ბენფიკა-მანჩესტერი	4.80	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11375	ბრიუგე-ბაიერნი	7.00	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11376	რაპიდი-იუვენტუსი	7.00	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.10
11377	სპარტა-თუნი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	5.50
11378	უდინეზე-ბარსელონა	3.80	10.00	20.00	4.50	4.00	4.60	20.00	10.00	3.70
11379	ვილიარეალი-ლილი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.00	20.00	10.00	6.00
11380	ვერდერი-პანათინაიოსი	1.90	12.00	25.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რამდენი გოლი ბავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი	არა
12373	არსენალი-აიაქსი	1.90	1.70
12374	ბენფიკა-მანჩესტერი	1.60	2.00
12375	ბრიუგე-ბაიერნი	1.70	1.90
12376	რაპიდი-იუვენტუსი	1.70	1.90
12377	სპარტა-თუნი	1.70	1.90
12378	უდინეზე-ბარსელონა	1.70	1.90
13379	ვილიარეალი-ლილი	1.70	1.90
12380	ვერდერი-პანათინაიოსი	2.20	1.60

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13373	არსენალი-აიაქსი	1.90	1.70
13374	ბენფიკა-მანჩესტერი	1.70	1.90
13375	ბრიუგე-ბაიერნი	1.90	1.70
13376	რაპიდი-იუვენტუსი	1.90	1.70
13377	სპარტა-თუნი	1.70	1.90
13378	უდინეზე-ბარსელონა	1.70	1.90
13379	ვილიარეალი-ლილი	1.70	1.90
13380	ვერდერი-პანათინაიოსი	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წილი დაბრუნდება ჩაითვლება)

14373	არსენალი-აიაქსი	1.30	2.50
14374	ბენფიკა-მანჩესტერი	2.10	1.75
14375	ბრიუგე-ბაიერნი	2.50	1.30
14376	რაპიდი-იუვენტუსი	2.50	1.30
14377	სპარტა-თუნი	1.60	2.30
14378	უდინეზე-ბარსელონა	1.95	1.85
14379	ვილიარეალი-ლილი	1.40	2.40
14380	ვერდერი-პანათინაიოსი	1.20	2.60

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15373	არსენალი-აიაქსი	3.00	2.80	2.00
15374	ბენფიკა-მანჩესტერი	3.00	2.80	2.00
15375	ბრიუგე-ბაიერნი	3.00	2.80	2.00
15376	რაპიდი-იუვენტუსი	3.00	2.80	2.00
15377	სპარტა-თუნი	3.00	2.80	2.00
15378	უდინეზე-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15379	ვილიარეალი-ლილი	3.00	2.80	2.00
15380	ვერდერი-პანათინაიოსი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16373	არსენალი-აიაქსი	1.15	3.50
16374	ბენფიკა-მანჩესტერი	2.20	1.40
16375	ბრიუგე-ბაიერნი	3.40	1.20
16376	რაპიდი-იუვენტუსი	3.80	1.15
16377	სპარტა-თუნი	1.30	2.60
16378	უდინეზე-ბარსელონა	1.80	1.60
16379	ვილიარეალი-ლილი	1.20	3.00
16380	ვერდერი-პანათინაიოსი	1.10	4.50

გოლი:ფქვილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ფქვილად)

17373	არსენალი-აიაქსი	1.85	1.95
17374	ბენფიკა-მანჩესტერი	1.85	1.95
17375	ბრიუგე-ბაიერნი	1.85	1.95
17376	რაპიდი-იუვენტუსი	1.85	1.95
17377	სპარტა-თუნი	1.85	1.95
17378	უდინეზე-ბარსელონა	1.85	1.95
17379	ვილიარეალი-ლილი	1.85	1.95
17380	ვერდერი-პანათინაიოსი	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაააზუსტეთ

მაგთიკომის პირველობა

აკადემია ქულებს აკადემიურად იმკიდა

გადრი კეთილაძის ფოტო

ხულიგანა 20:36 აკადემია

ხულიგანა: *ჟამუტაშვილი, ნიკურაძე, ჭიჭინაძე, გრძელიშვილი, ახვლედიანი, შიოშვილი, კუპრეიშვილი, ხოსიტაშვილი, დგებუაძე, გენებაშვილი, ბელაშვილი, კენჭაძე, შეყლაშვილი, მურვანიძე, ფეიქრიშვილი*

შეცვლაზე შევიდნენ: ჯეირანაშვილი, ფირიაშვილი, ჩიტაძე, კიკუაშვილი

3 ლელო: *გენებაშვილი 2, კიკუაშვილი; 1 გარდასახვა: გენებაშვილი; 1 საჯარიმო: გენებაშვილი*

მწვრთნელი: *მამუკა ტყეშელაშვილი*

აკადემია: *გურგენიძე, წასიძე, ბატონიანი, სულმანიძე, ელიზბარაშვილი, ხუხუნეიშვილი, ქოპილაშვილი, სირბილაძე, მჭედლიძე, ნებულიშვილი, გაბუნია, უჩავა, გელანტია, ნატრიაშვილი, ბანდელიძე*

შეცვლაზე შევიდნენ: მურვანიძე, კობახიძე, ჩიკვაიძე, გელაძე, წიკლაური, მაჭარაშვილი.

5 ლელო: *უჩავა 2, სირბილაძე, ჩიკვაიძე, გურგენიძე; 4 გარდასახვა: ხუხუნეიშვილი 4; 1 საჯარიმო: ხუხუნეიშვილი*

მწვრთნელი: *პაატა ნარიმანაშვილი*

მთავარი მსაჯი: *ჯავახიშვილი*

ასისტენტები: *ნარიმანიძე, ჩაჩუა*

მაგთიკომის პირველობა დასასრულს უახლოვდება — გუშინ ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩი გაიმართა, სადაც ფინალის საგზური „ხულიგანამ“ და „აკადემიამ“ გაითამაშეს.

„ხულიგანას“ რიგებში ბევრი ახალგაზრდა, 18-19 წლის მორაგბეა, თუმც სხვებს ტოლს არ უდებენ და გუშინაც ბოლომდე მედგრად იბრძოლეს „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე გამართულ ამ დაძაბულ რაგბიში. უკვე მე-2 წუთზე „ხულიგანას“ ჩათვლის მოედნიდან 5 მეტრში შერკინება დაინიშნა. „აკადემია“ მძლავრად მიაწვა, თუმცა უშედეგოდ, და „ხულიგანამ“ ბურთი გაიტანა. მალევე „აკადემიამ“ „ხულიგანას“ ოცდაორში აუტი მოიგო, მოლით მიაწვა და უჩავამ ლელოც გაიტანა. ხუხუნეიშვილმა კი გარდასახვა გააცუდა და 0:5.

ამის შემდეგ თამაში ორმხრივ იერიშებში წარიმართა. მეტოქეები, ძირითადად, მოლის აგორებით ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. მომდევნო ლელოც ამის შედეგი იყო. „აკადემიის“ ოცდაორში აგორებული მოლი „ხულიგანამ“ ჩათვლის მოედანთან ახლოს მიიტანა, აქ კი გენებაშვილმა იყოჩაღა და ბურთი დაამიწა. შემდეგ თავადვე გარდასახა და 7:5, მე-14 წუთზე.

ორიოდე წუთში „აკადემიას“ წინ გასვლის კარგი შანსი ჰქონდა. ქოპილაშვილი ერთ კაცთან პირისპირ დარჩა, მაგრამ... ამის მერე ანგარიშის გაზრდა „ხულიგანას“ შეეძლო, თუმცა გენებაშვილმა ჯარიმა ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა. ამას მეტოქის იერიშები და 25-ე წუთზე სირბილაძის ლელო მოჰყვა.

„ხულიგანას“ ოცდაორში ჩაკიდებული ბურთი კუპრეიშვილმა ვერ შეიმაგრა. ის სირბილაძემ მოიხელთა და უპრობლემოდ დადო. ხუხუნეიშვილი გარდასახვას ზუსტად ურტყამს და 7:12.

ამის მერე მატჩი უფრო დაიძაბა, გუნდები ერთმანეთს ერთ მეტრსაც არ უთმობდნენ და შესვენებამდე მაქსიმალური ქულების მოგროვებას ცდილობდნენ. 37-ე წუთზე გენებაშვილმა იხეირა, როცა კარგი საჯარიმო პოზიცია გამოიყენა — 10:12.

მაყურებელს არც ამის მერე ჰქონდა მოწყენის საშუალება, მაგრამ, სამწუხაროდ, ტაიმის ბოლოს „ხულიგანას“ უკანახაზელი ჟამუტაშვილი მძიმედ დაშავდა — კოჭი გაუტყდა. საკაცით გაყვანილი მორაგბე მაყურებელმა ტაშით გააცილა. იძულებით გამოწვეული პაუზის შემდეგ განახლებული მატჩის პირველი ტაიმი კი მალევე დამთავრდა — 10:12.

გადრი კეთილაძის ფოტო

როგორც პირველი ტაიმის, ისე მეორეს მე-3 წუთიც „აკადემიის“ მორაგბეებისთვის იღბლიანი გამოდგა. შეცვლაზე შესულმა ჩიკვაიძემ ბურთი შერკინებიდან დროულად გამოიტანა და 3 მეტრში ჩათვლის მოედანზე დადო. ხუხუნეიშვილი ამჯერადაც ზუსტი იყო — 10:19.

მე-13 წუთზე კიდევ ერთმა სათადარიგომ კიკუაშვილმა ივარგა, ამჯერად „ხულიგანას“ მხრიდან, გარდასახვა დამრტყმელმა გენებაშვილმა კი ვერ გამოიყენა და — 15:19. ამას საპასუხო იერიში, „ხულიგანას“ დაჯარიმება და ხუხუნეიშვილის ზუსტი დარტყმა მოჰყვა — 15:22.

თამაშში გამოკვეთილი უპირატესობა „აკადემიას“ ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ ქულების მოგროვებას ისინი უფრო ახერხებდნენ. 22-ე წუთზე უჩავამ თავისი მეორე ლელო დადო. „აკადემიამ“ კვლავ მოლით ისარგებლა. მძლავრად მიაწვა და ჩათვლის მოედანს მიახლოებულმა, უჩავას ბურთის დამიწების საშუალება მისცა.

მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, ხელაღებით ვერავინ იტყოდა, რომ აქ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, რადგან თამაში ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა. ამ დროს თითქოს „ხულიგანა“ უნდა გააქტიურებულიყო და ლელოს გატანაზე ეზრუნა, მაგრამ, პირიქით მოხდა, 35-ე წუთზე შერკინებისას რაკში „ხულიგანას“ ბევრი მოთამაშე ჩაითრიეს „აკადემიის“ მორაგბეებმა, შემდეგ სწრაფად ბურთი მეორე ფლანგზე გადაკიდეს, სადაც სამი ერთის წინააღმდეგ აღმოჩნდა და გურგენიძეს დამიწება არ გასჭირვებია. ხუხუნეიშვილი ამჯერადაც ზუსტი იყო — 15:36.

აქ თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, „ხულიგანამ“ კი ბოლო შეტევაშიღა იხეირა, რამდენიმე ფაზიანი შეტევის შემდეგ გენებაშვილმა ლელო დადო, თუმც გარდასახვა ვეღარ გაიტანა და 20:36, ასე დასრულდა ეს შეხვედრა. ასე რომ, 11 დეკემბერს ჩემპიონობისთვის „აკადემია“ იბრძოლებს, მისი მეტოქე კი „ლოკომოტივი“ იქნება.

აქვე გეტყვით, რომ გუშინწინ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ორრაუნდიან ბრძოლაში „ყორჩებმა“ იმარჯვეს. მათ მეორე შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაასრულეს, „უნივერსიტეტი“ ამჯერად 25:19 დაჩაგრეს და ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს.

ლექსო მაისურაძე

გარდაიცვალა კობა კურტანიძე

სამწუხარო ამბავი: გორში 42 წლისა გარდაიცვალა ყოფილი მსოფლიოს, ევროპის სამგზისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში კობა კურტანიძე.

კობა კურტანიძე ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სარეცელს იყო მიჯაჭვული და მკურნალობის ინტენსიურ კურსს გადიოდა იმ ტრავმების სამკურნალოდ, რომლებიც 1999 წლის ივნისში მიიღო. მაშინ რამდენიმე შეირაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა ჯიპს, რომელშიც სამი მგზავრი იყო, მათ შორის კურტანიძე. ძიუდოისტი და მისი მეგობრები ახალგორისკენ მიემგზავრებოდნენ, მაგრამ გზაში მათ თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები და გაიტაცეს. კურტანიძე მათგან თავის დაღწევას რომ ცდილობდა, ავტომანქანიდან გადმოხტა და უმძიმესი ტრავმები მიიღო. ამის შემდეგ კურტანიძე დაინვალიდდა და მთელი ამ წლების განმავლობაში გორის საავადმყოფოში კომაში იყო ჩავარდნილი.

კობა კურტანიძეს შაბათს სოფელ სკრაში დაკრძალავენ, თუმცა მანამდე სურდათ გორში, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიებარებინათ მინისთვის, მაგრამ განსვენებულის მშობლებმა იუარეს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
სახელოვანი ქართველი ძიუდოისტის,
მსოფლიოს ჩემპიონისა და ბრინჯაოს პრიზიორის,
ევროპის სამგზის ჩემპიონის,
მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის
კობა კურტანიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს.

სანთელ-საკმეველი ივკოვიჩმა ცინცაძე ხელმეორედ იპოვა

ლაზარიოს პაპადოპულოსი, ანტონიო ფოცისი, ჰანო მოტოლა — რა აერთიანებთ ამ ევროვარსკვლავებს? ყველანი მოსკოვის „დინამოში“ თამაშობენ და გიორგი ცინცაძის თანაგუნდელები არიან. უფრო სწორად, მომავალი თანაგუნდელები, რაკი საქართველოს ნაკრების 19 წლის გამთამაშებელი მოსკოვურ კლუბთან კონტრაქტს ამ კვირაში გააფორმებს. ამ საქმეს წყალი აღარ გაუვა — „დინამოს“ თავკაცმა დუშან ივკოვიჩმა უკვე გადაწყვიტა ცინცაძის გუნდში აყვანა. გიო ორი კვირაა, მოსკოვშია და „დინამოში“ ვარჯიშობს, არადა, როცა ცსკა-მ კონტრაქტი გაუწყვიტა, მაშინ თქვა, რუსეთისკენ აღარ გავიხედავო. გუშინ მას მოსკოვში რომ შევეხმიანეთ, თავდაპირველად ეს სიტყვები გავახსენეთ...



გიორგი ცინცაძე ცსკა-ს წინააღმდეგ, როცა „ურალ გრეიტში“ თამაშობდა

— მაშინ მე ის არ მიგულისხმია, რუსულ კლუბში აღარ ვითამაშებმეთქი. „სამარისა“ და „ურალ გრეიტის“ მწვრთნელებზე ვიყავი გულმოსული და რუსი სპეციალისტების გუნდში არ წავალ-მეთქი. ერთადერთი მწვრთნელი, რომელიც რუსულ კლუბში ადამიანურად მომექცა, როცა ცსკა-ში ვიყავი, დუშან ივკოვიჩი იყო. ახლა კვლავ ამ სერბი სპეციალისტის გუნდში თამაშის შანსი გამომჩნდა და უარს როგორ ვიტყოდი.

— სანამ მანდაურ ამბებზე გკითხავდე, ის გვითხარი, „დინამოს“ ვარიანტი საიდან გამოგიჩნდა...

— „დინამოში“ რომ ვარ, მთლიანად დუშან ივკოვიჩის დამსახურებაა. მისი იდეა იყო, ჩემი ამ გუნდში ჩამოსვლა. ივკოვიჩი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა საკალათბურთო სამყაროში.

— თუ ივკოვიჩი ასე გენდობა, „დინამოსთან“ ამდენ ხანს კონტრაქტი რატომ ვერ გააფორმე — უკვე ნახევარი თვეა, მოსკოვში ხარ.

— აქ რომ ჩამოვედი, ტრავმა მქონდა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში მივიღე. ექიმებმა ვარჯიში ამიკრძალეს, მაგრამ ჩემი კონტრაქტის ბედი წყდებოდა და გამაყუჩებლებით მიწევდა ვარჯიში. ივკოვიჩს კი სჯეროდა ჩემი, მაგრამ კონტრაქტის უმალვე გაფორმებაც არ შეიძლებოდა. გუნდის უფროსობაც უნდა დარწმუნებულიყო, რომ „დინამოში“ თამაშის ღირსი ვიყავი და ვარჯიშებზე ეს უკვე დავამტკიცე.

— ესე იგი, **კონტრაქტი უკვე დაიმსახურე...**

— დავიმსახურე, მაგრამ ჯერ არ გამიფორმებია. სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია. ახლა კონტრაქტის პირობებზე მიმდინარეობს მუშაობა და ალბათ ამ კვირაში ხელშეკრულებასაც გავაფორმებ.

— **რა ხანგრძლივობის კონტრაქტზეა საუბარი?**

— სამწლიან ხელშეკრულებას ვაფორმებ, ოღონდ ყოველი სეზონის ბოლოს ორივე მხარეს მისი გადახედვის უფლება აქვს. ასე ვთქვათ, 1+1+1-წლიანი კონტრაქტია.

— **სხვა პირობებზე რას გვეტყვი?**

— ხელფასის საკითხი ჯერ არ შეთანხმებულა. სხვა რა, ბინას მომცემენ და მართვის მოწმობა რომ მქონდეს, ალბათ მანქანასაც გამოვკრავდი ხელს.

— **ახლა სად ცხოვრობ?**

— ერთ-ერთი დინამოელის ბინაში, მაგრამ მალე ცალკე გადავალ.

— **„დინამოში“ ევროპის გაწოქმული კალათბურთელები თამაშობენ და კონკურენციის არ გეშინია?**

— კონკურენცია ჩემთვის უცხო არაა. ცსკა-ში ვთამაშობდი მსოფლიოს კლასის კალათბურთელებთან და რეალობის შეგრძნება არ დამიკარგავს. „დინამოში“ ცსკა-ზე ბევრად სუსტი კალათბურთელები არ თამაშობენ და კონკურენციაც დიდი იქნება. თუმც მე თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ეს სეზონი მოსამზადებლად გამომეყენებინა. თამაშის დიდი ამბიცია არ მაქვს, მინდა, ბევრი ვივარჯიშო და კლასი ავიმაღლო, ამას კი ივკოვიჩზე კარგად ვერც ერთ მწვრთნელთან ვერ მოვახერხებდი. ასე რომ, რაც არ უნდა მოხდეს, „დინამოში“ გადმოსვლით არაფერს წავაგებ.

— **რუსეთის ჩემპიონატში შენს ხელახალ დებიუტს როდისთვის უნდა ველოდოთ?**

— შაბათს ცსკა-ს ვეთამაშებით და ძალიან მინდა, თუ მოედანზე არ გავალ, განაცხადში მაინც ვიყო. სუპერლიგაში სათამაშო ლიცენზია 50 ათასი დოლარი ღირს, მაგრამ გუნდებს განაცხადში დუბლებში დარეგისტრირებული კალათბურთელის შეყვანაც შეუძლიათ. მეც ალბათ ასე მომიწევს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს.

ირაკლი პერტაია

საჩოგბურთო ეიფორია ხორვატიაში

ჯერ ზეიმობენ, თუმც მომავალზეც ფიქრობენ

2005 წლის 5 დეკემბერი. ხორვატია, ზაგრები. სიცივისა და წვიმის მიუხედავად, ზაგრების აეროპორტში ათასობით ადამიანმა მოიარა თავი. ისინი თავიანთ ჩოგბურთელთა ნაკრების ჩამოსვლას ელოდნენ, ნაკრებისა, რომელმაც დევისის თასი მოიგო და ხორვატულ სპორტს კიდევ ერთი დიდი წარმატება მოუტანა.

ივან ლიუბიჩიჩი, მარიო ანჩიჩი, ივო კარლოვიჩი, გორან ივანიშევიჩი — აი, სწორედ ამ ხალხმა გააბარა ხორვატია კიდევ ერთხელ. ხალხი ქუჩებში გამოეფინა და მთელი ღამის განმავლობაში ზეიმობდა საჩოგბურთო ნაკრების წარმატებას.

ორშაბათს კი იყო დახვედრა, ბევრი სიხარული, ათასობით გულშემატკივრის წინაშე სიტყვით გამოსვლა და მათთან ერთად ეროვნული ჰიმნის შესრულება — აი, ასე აღნიშნეს სამშობლოში დაბრუნებულმა ხორვატმა ჩოგბურთელებმა და მათმა გულშემატკივრებმა დევისის თასის მოგება. ახლა ისინი უკვე ქვეყნის ნამდვილი გმირები არიან.

ხორვატებმა მართლაც თითქმის შეუძლებელი შეძლეს. რაც მთავარია, მათ ვერავინ დაუბრალებს, რომ ეს გამარჯვება შემთხვევითი ან დაუმსახურებელი იყო. იქნებ ბალკანელთა მოწინააღმდეგე ფინალში — სლოვაკეთის ნაკრები — არც არის თანამედროვე ჩოგბურთის გრანდი, მაგრამ ნამდვილად ძლიერი რიმაა, ეს ფაქტია, სხვა შემთხვევაში ფინალში ხომ ვერც გავიდოდა.

ნურც იმას დავივიწყებთ, რა გზა გაიარეს სორვატებმა ფინალამდე. თავდაპირველად მათ გასვლაზე დასცეს დევისის თასის 31-გზის მფლობელი აშშ-ს ნაკრები, შემდეგ რუმინელებს მოუგეს, ბოლოს კი კიდევ ერთი გრანდის, რუსეთის ნაკრების წინააღმდეგობა დაძლიეს. ასე რომ, ხორვატთა წარმატება სავსებით დამსახურებული იყო.

ხორვატებმა საკმაოდ ძლიერი და თანაბარი ნაკრები შეკრიბეს. ამას ისიც დაერთო, რომ ივან ლიუბიჩიჩმა სწორედ წლეულს ჩაატარა კარიერის საუკეთესო სეზონი და თავისი ნაკრების ჭეშმარიტ ლიდერად იქცა, მან 12 თამაშიდან 11-ში იმარჯვა, რაც ფანტასტიკური შედეგია.

კარგი სეზონი ჰქონდა 21 წლის მარიო ანჩიჩსაც (რომელსაც ივანიშევიჩის მსგავსი აგებულება აქვს, რისთვისაც „პატარა გორანს“ ეძახიან). სწორედ ის იქცა ხორვატთათვის ოქროს ქულის მომტანად — ფინალის გადამწყვეტ დაპირისპირებაში ანჩიჩმა იოლად მოუგო მიხალ მერტინაკს.

ხორვატები მხოლოდ ამ ორ ჩოგბურთელზე როდი იყვნენ დამოკიდებულნი. კორტზე გასასვლელად მზად იყო ივო კარლოვიჩიც, 204-სმ-იანი გიგანტი, რომელსაც დღესდღეობით ერთ-ერთი უძლიერესი მოწოდება აქვს. კი, კარლოვიჩი არასტაბილურია, მაგრამ ერთი კონკრეტული მატჩის მოგება მას ყოველთვის შეუძლია.

ასე რომ როგორც ხედავთ, ხორვატებს არც რეზერვი აკლიათ.

ხორვატთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მათ კაპიტან ნიკი პილიჩსაც. მან ნაკრები ერთმუშტად შეკრა, ხოლო როცა საჭირო გახდა, ჩოგბურთელებს დამატებითი მოტივაცია მიეღოთ, ბრატისლავაში მეოთხე ჩოგბურთელად ხორვატული ჩოგბურთისა და მთლიანად სპორტის ლეგენდა გორან ივანიშევიჩი წაიყვანა. დიდმა გორანმაც მათ კარგი დახმარება გაუწია თავისი გამოცდილებით.

პილიჩს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ხორვატული ჩოგბურთის განვითარებაში (სხვათა შორის, სწორედ სპლიტში მის მიერ დაარსებულ აკადემიაში არის გაზრდილი მარიო ანჩიჩი), ყველაზე მეტად ის ახარებს, რომ ამ გამარჯვებით ხორვატიაში ჩოგბურთის ბუმი დაიწყება:

„ხორვატული ჩოგბურთისა და სპორტისთვის ეს დიდი მოვლენაა. 5 წლის წინათ მესამე ლიგაში დავიწყეთ, ახლა კი ჩემპიონები ვართ. ეს წარმატება ბევრ ბავშვს მოიზიდავს ჩოგბურთში, როგორც თავის დროზე გორან ივანიშევიჩის მიერ უიმბლდონის მოგების შემდეგ მოხდა“.

ყველაზე მეტად კი ბრატისლავაში გორან ივანიშევიჩი ნერვიულობდა.

„ძნელია, ურთულესია იჯდე და უყურო. სხვაა როცა კორტზე ხარ, იქ ბოლომდე იხარჯები და ნერვიულობისთვის აღარ გცალია“.

რაც მთავარია, ივანიშევიჩს სწამს, რომ ხორვატიის ნაკრებს თავისი პოტენციალი ჯერ არ ამოუწურავს.

„ამ ნაკრებს დიდი მომავალი აქვს, თუ იგი ასე გააგრძელებს, მას თავისუფლად შეუძლია, 5 წლის განმავლობაში არავის დაუთმოს პირველობა“.

თავის დიდ თანამემამულეს კვერს უკრავს ივან ლიუბიჩიჩიც:

„მე ჯერ 26 წლის ვარ და ნაკრებში ყველაზე ხნიერი გახლავართ. ჩვენ ახალგაზრდული გუნდი ვართ და გარწმუნებთ, დევისის თასის მომავალი სეზონებისთვის კარგი პერსპექტივებიც გვაქვს. იმედია, შემდგომში ფინალი უკვე ხორვატიაში გაიმართება“.

როგორც ხედავთ, ხორვატები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და მომავალზე ფიქრიც დაიწყეს. თუმც ჯერ ზეიმობენ, მომავალზე ფიქრი კი მოგვიანებით იყოს.

ძახა ლომაშვილი

5 დეკემბერი

ორლანდო 85:110 სან ანტონიო

ორლანდო: ნელსონი (20 ქულა), სტევენსონი (15 ქულა, 7 მოხსნა), დ. ჰოვარდი (13 ქულა, 15 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), პარკერი (20 ქულა, 7 პასი), ჰორი (18 ქულა, 7 მოხსნა)

ჩიკაგო 94:102 დალასი

ჩიკაგო: გორდონი (26 ქულა), დენგი (25 ქულა, 5 მოხსნა), სონგაილა (13 ქულა)

დალასი: ნოვიცკი (35 ქულა, 6 მოხსნა), მ. დენიელსი (18 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), ა. გრიფინი (14 ქულა, 12 მოხსნა)

იუტა 77:91 მინესოტა

იუტა: ოქური (14 ქულა, 6 მოხსნა), კირილენკო (10 ქულა, 9 მოხსნა, 4 დაფარება), ჯ. კოლინზი (10 ქულა, 7 მოხსნა)

მინესოტა: შერბიაკი (26 ქულა), გარნეტი (21 ქულა,6 მოხსნა), ე. გრიფინი (14 ქულა, 11 მოხსნა, 8 დაფარება)

ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო

კლიპერსი 99:89 მაიამი

კლიპერსი: ბრენდი (37 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება), კასელი (18 ქულა, 13 პასი), მაგეტი (13 ქულა, 6 მოხსნა)

მაიამი: უეიდი (29 ქულა, 6 მოხსნა), ჯ. უილიამსი (17 ქულა, 9 პასი), მოურნინგი (17 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება)

NBA რეგულარული ჩემპიონატი

MVP, MVP — სკანდირებდა დარბაზი დასავლეთა ზეობა



დირკ ნოვიცკი „დალასის“ მორიგ წარმატებას ხარობს

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ დასავლეთ კონფერენცია აღმოსავლეთზე ძლიერია და აქ უფრო მეტი მაღალი დონის გუნდი თამაშობს. ეს ბოლო წლების განმავლობაში შედეგებზეც აისახა. ბევრი ფიქრობდა, რომ შარშან „ლეიკერსიდან“ წასული შაკილ ონილის „მაიამიში“ გადასვლა ძალთა ამ თანაფარდობას შეცვლიდა, მაგრამ ასე არ მოხდა — წინა სეზონში დასავლურმა „სან ანტონიომ“ იმარჯვა.

გუშინ კი სამი დაპირისპირებიდან სამივეში დასავლეთელებმა მოიგეს. ტეხასური გრანდების — „სან ანტონიოსა“ და „დალასის“ გამარჯვება არცთუ ძლიერ „ორლანდოსა“ და „ჩიკაგოსთან“ გასაკვირი არ იყო, მაგრამ აღმოსავლეთ კონფერენციის მოგების უმთავრეს კანდიდატად მიჩნეული „მაიამის“ „კლიპერსთან“ დამარცხებაზე იგივეს ვერ ვიტყვით. კი, „მაიამის“ შაკი ძალიან აკლია, მაგრამ, მეორეს მხრივ, არც „კლიპერსი“ წყვეტს ციდან ვარსკვლავებს და მისი ამბიციები ჯერჯერობით მხოლოდ პლეი ოფში მოხვედრას არ სცილდება.

რაც შეეხება თავად მატჩებს, მოქმედმა ჩემპიონმა „სან ანტონიომ“ საკმაოდ იოლად მოუგო „ორლანდოს“ თავისსავე მოედანზე და გამარჯვებათა სერია ოთხამდე გაზარდა. ტეხასელების რიგებში მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა ტიმ დანკანმა, რომელმაც ამჯერად დაცვაში ითამაშა ბრწყინვალედ და 5-ჯერ დაუფარა მეტოქეებს.

თავის ლიდერს კარგად დაეხმარა ფრანგი გამთამაშებელი ტონი პარკერი (20 ქულა), რომელიც წლეულს დიდებულ ფორმაშია და შარშანდელთან შედარებით აშკარად მოუმატა. კარგად ითამაშა „სან ანტონიოს“ რეზერვმაც, განსაკუთრებით კი რობერტ ჰორიმ (18 ქულა). ტეხასელთა დამრიგებელი გრეგ პოპოვიჩი მისით აღფრთოვანებული იყო:

„მან იცის, როგორც უნდა ითამაშოს. როცა ჰორი მოედანზეა, გუნდს ყოველთვის უფრო ჭკვიანური კალათბურთი გამოსდის“.

„ორლანდოს“ რიგებში კი დუაიტ ჰოვარდი და ჯამირ ნელსონი გამოირჩნენ. ჰოვარდმა დიდი შესვენებისთვის ორმაგი დუბლის შესრულება მოასწრო, მაგრამ მეორე ნახევარში ტიმ დანკანმა და ტეხასელთა სლოვენიელმა ცენტრმა რაშო ნესტეროვიჩმა იგი საიმედოდ ამოკეტეს.

მოიგო მეორე ტეხასელმა გიგანტმა „დალასმაც“, რომელმაც ასევე გასვლაზე დაამარცხა ჩიკაგო. როგორც ყოველთვის, „დალასის“ მოგებაში მთავარი როლი დირკ ნოვიცკიმ შეასრულა (35 ქულით).

კარგად ითამაშა სეზონის შუაში აყვანილმა ადრიან გრიფინმაც (სხვათა შორის, მან ევროპაში თამაშიც მოასწრო), რომელმა 14 ქულას 12 მოხსნაც დაუმატა. თუმც ისედაც ტრავმებისგან განაწამებ „დალასს“ კიდევ ერთი პრობლემა დაემატა — დაშავდა „მეკერიკსის“ გამთამაშებელი ჯეისონ ტერი, რამდენად სერიოზულად, ჯერ ცნობილი არ არის.

„კლიპერსის“ ფორვარდი ელტონ ბრენდი კი კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს. მისი საშუალო მონაგარი თამაშში 24.1 ქულა და 10.6 მოხსნაა. თუ ასე გააგრძელა, შეიძლება, უძვირფასესი მოთამაშის (MVP) პრიზსაც გამოკრას ხელი. ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ კლიპერსის „გულშემატკივრები. როდესაც მატჩის ბოლოს ბრენდმა მორიგი ჩატენვა შეასრულა, ისინი ფეხზე წამოდგნენ და სკანდირებდნენ — MVP, MVP.

„მაიამისთან“ შეხვედრაში ბრენდმა 37 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა, თან ამას თავისთვის უმაღლესი, 6 დაფარებაც დაამატა.

კარგად ითამაშა წლეულს მინესოტადან“ გადაყვანილმა ვეტერანმა გამთამაშებელმა სემ კასელმაც, რომელიც კალიფორნიულ გუნდში ჯერჯერობით დიდებულად გამოიყურება.

რაც შეეხებათ ფლორიდელებს, უკვე მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ მათ შაკის გარეშე ძალიან უჭირთ. კი, დუეინ უეიდი თავის დონეზე თამაშობს, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია, ყველა შევედრა მარტომ მოიგოს. ამჯერადაც ლიდერს მხოლოდ ჯეისონ უილიამსი და ზო მოურნინგი მიეხმარნენ. სამაგიეროდ, ძალიან ცუდად იასპარეზა ანტუან უოლკერმა, რომელმაც, კარიერაში მეორედ, ქულაც ვერ ჩააგდო, ფლორიდელებმა კი სეზონში მერვე მარცხი იგემეს.

ბოლო შეხვედრა წმინდად დასავლური გამოდგა — ერთმანეთს „მინესოტა“ და „იუტა“ დაუპირისპირდნენ. მინეაპოლისელები კვლავ ნიკოლოზ ცქიტიშვილის დაუხმარებლად გავიდნენ ფონს და სტუმრად ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს. ყველაზე მეტად უოლი შერბიაკმა იაქტიურა (26 ქულა), რასაც კევინ გარნეტმა 21 ქულა დაურთო.

„იუტას“ უმთავრეს პრობლემად კვლავ თავდასხმა რჩება. გუნდი ამ შეხვედრაშიც ვერ ასცდა 80-ქულიან ზღვარს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი მაჩვენებელია. „ჯაზს“ ჯერჯერობით არც გამოჯანმრთელებული რუსი ლიდერის — ანდრეი კირილენკოს დაბრუნება შველის.

კახა ლომაჯვილი

როკიც ბრუნდება და რემბოც

სილვესტერ სტალონემ „როკი VI“-ის გადაღება დაიწყო

სილვესტრ სტალონემ მას მერე, რაც 15 წლის წინათ მთავარი როლი ითამაშა მოკრივეზე გადაღებულ ფილმში, დაიწყო ახალი კინოლენტის „როკი VI“ გადაღება.

პირველი გადაღებები ლას-ვეგასში, ჟერმენ ტეილორსა და ბერნარდ ჰოპკინსს შორის, ამ შაბათს გამართული ნამდვილი ბრძოლის წინ მოეწყო.

„როკი VI“ ეს არის ასაკოვანი მოკრივის ისტორია, რომელსაც გადაუწყვეტია რინგზე კიდევ ერთხელ დაბრუნება.

ფილმის პროდიუსერებმა ფილადელფიაში ჩაატარეს მასობრივი სცენების კინოსინჯები, რომლებშიც ყველა ადგილობრივი მსურველი მონაწილეობდა. ბოლო სიტყვა, თუ ვინ გახდება მათგან ფილმის მასობრივი სცენების მონაწილე, თავად სტალონეზეა დამოკიდებული.

„ფილმის ავტორებს სურთ, რომ გამოაჩინონ ფილადელფიელთა უნიკალური ხასიათი, — ამბობს დიანა ჰირი, რომელიც კინოსინჯებს აწარმოებს. — ჩვენ ვეძებთ ადამიანებს, რომლებიც ქალაქის სახეები გახდებიან. ჩვენ რეალურ ადამიანებს ვეძებთ“.

59 წლის სტალონემ თავისი გმირი 1976 წელს შექმნა, როცა პირველად გამოვიდა ფილმი როკიზე, რისთვისაც მან ორი ოსკარი მოიპოვა.

ამ ფილმების სერიალთაგან ბოლო 1990 წელს გამოვიდა ეკრანზე, რომელშიც როკი იმისთვის ბრუნდება, რათა მწვრთნელობაში გამოიჩინოს თავი.

სტალონეს თქმით, მას სურს, რომ ახალ ფილმში „კონცენტრირებული იყოს წინამორბედი ფილმების არსი“.

სტალონე გეგმავს მოკრივე როკისთან ერთად, ეკრანზე ვიეტნამის ომის ვეტერან ჯონ რემბოს დაბრუნებას, რომელიც ბოლოს 1988 წელს გადაღებულ ფილმ „რემბო 3“-ში მტრებს მუსრავდა.

ჭადრაკი

მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

პატარა ვიკინგი მსოფლიოს იპყრობს



მაგნუს კარლსენი

ყველას აოცებს 15 წლის ნორვეგიელის მაგნუს კარლსენის თამაში. პატარა ვიკინგმა ზურაბ აზმაიფარაშვილი, ტაჯიკი ფარუხ ამანატოვი, ბულგარელი ივან ჩეპარინოვი გამოთიშა ასპარეზობას და ახლა მერვედფინალში რუს ევგენი ბარეევსაც ღირსეულად ეპაექრება.

ასეთი წარმატების მიუხედავად, ვუნდერკინდი უახლოეს მომავალში ჩემპიონობას არ აპირებს.

„მოხარული ვიქნები, თუ ოდესმე მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები, ამ ტურნირის მოგებაზე კი ლაპარაკი ნაადრევია, ხანტი-მანსიისკში თამაში მიხარია და ყოველი პარტიის მოგება მსიამოვნებს“, — თქვა პატარა დიდოსტატმა.

რაც შეეხება მატჩს, იგი შავებით მოთამაშე კარლსენის უპირატესობით წარიმართა. მან თავიდანვე დიდი ძალებით შეუტია მეტოქეს, თუმც საპასუხოდ მეფეზე სახიფათო იერიში მიიღო და 22-ე სვლაზე ყაიმს დათანხმდა.

დღეს კარლსენი თეთრებით ითამაშებს

ლუმა გეგეჭკორი

AFP ინდიანაპოლისიდან

ხალისი და ლაღობა

ჩვენში ამ ამერიკული ფეხბურთისა კი არა გაეგებათ რა, მაგრამ, ხალისი მაინც შეიძლება. აი, მაგალითად, „ინდიანაპოლის კოლტსის“ ფანი თავზე ბურთჩამოცმული უყურებს, როგორ უგებს მისი გუნდი „ტენესი ტიტანს“ 35:3-ს.

დაჰკარ, დაჰკარ!

მაგდებურგში გოგოები ერთმანეთს ასე ამტვრევენ თავ-პირს. მარცხნივ გერმანელი რეგინა ჰალმიხია, მარჯვნივ ამერიკელი ელენა რეიდი. მოიგო ნალმიხმა და **WIBF**-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

AFP მაგდებურგიდან

AFP ლოს ანჯელესიდან

ქორწილია, ქორწილი

ლას ვეგასის მარათონზე დიდი ამბებია: ზოგი ჩვეულებრივად დარბის, ზოგი ელვის პრესლის ტანსაცმელში გამოწყობილი, ხოლო ზოგი თან დარბის და თან ქორწინდება. ამის მაგალითი ფოტოზეა. ამ ორმა შექანებულმა, რომელთა სახელებია ჯანეტ და ჯად დამბრელები, მარათონის მეხუთე კილომეტრზე მდებარე პატარა ეკლესიაში შეირბინეს, ჯვარი დაიწერეს და ფინიშისკენ განაგრძეს გზა. როგორც გაირკვა, ასეთი რამ იმ დღეს 22 წყვილს გაუკეთებია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვეშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორრეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგეშაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge